პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 186 (18428) ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

რეზერვების გამოვლინება ჩვენი უპირველესი მოვალეობაა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის დადგენილების კვალდაკვალ

რეზერვების ყულაბა

დიდი შეფასება გვავალებს...

სრულად ავითვისოთ კაპიტალდაბანდებანი

ალიონზე იწყებს თავის სამუშაო დღეს გამრჯე მშენებელი. ქალაქად თუ სოფლად, დაბებსა თუ მიწისქვეშა გვირაბებში ფუტკარივით ირჯებიან მშვიდობიანი პროფესიის ადამიანები, რამეთუ ქვეყნის აღმშენებლობა ჭეშმარიტად მხოლოდ მშვიდობისმოყვარე ერების ხვედრია.

წლითიწლობით იზრდება აღმშენებლობითი სამუშაოების მოცულობა ჩვენს რესპუბლიკაში. გასული ხუთწლედის მანძილზე ათვისებულია 7 მილიარდ 293 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი ანუ 40 პროცენტით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. აღსანიშნავია ის, რომ რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში პირველად ჩვენთან მიღწეული ზრდის ტემპი აღემატება საშუალო საკავშიროს. ამან საშუალება მოგვცა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შეგვესრულებინა საცხოვრებელი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ არ გვქონდეს არსებითი ნაკლოვანებანი და ხარვეზები. როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, თუმცა 1978 წლიდან ჩვენ ვუსწრებთ საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს, კაპიტალური მშენებლობის ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებლის შესრულების მხრივ მდგომარეობა გამოსწორებას ითხოვს. ჩამორჩებით შრომის ნაყოფიერების ზრდაში. ჯერ კიდევ დიდია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ფაქტობრივი თვითღირებულება, რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია. ძირეულ გარდატეხას ვერ მივაღწიეთ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებაში. კვლავინდებურად შეუწყნარებლად დიდია ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვი, იქსაქსება სახსრები და მატერიალური რესურსები, ვერ იცავენ მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენილ ნორმებს, რაც არსებითს ზარალს აყენებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

დღეს ჩვენ მშენებელთა ყურადღებას გავამახვილებთ სასკოლო და პროფტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის არსებულ ტემპზე. კაპიტალური მშენებლობის დარგში საქართველოს მშრომელთა მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1982 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში აღნიშნულია: „შეასრულონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ამოქმედების წლიური პროგრამა აგვისტოში, სასწავლო წლის დაწყებისათვის და პროფტექნიკური სასწავლებლებისა — 1982 წლის 1 ოქტომბრისათვის“.

რა შედეგებს მიაღწიეს ამ მხრივ გასულ ექვს თვეში ჩვენმა მშენებლებმა?

დიდი მოცულობის სამუშაოები უნდა შესრულდეს სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილ დროში სასკოლო მშენებლობაში. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებული მოცულობით მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა მთელ რიგ რეგიონებში, ქალაქ ცხინვალში და გორის, ზესტაფონის, კასპის, მაიაკოვსკის, მესტიის, საგარეჯოს, საჩხერის, ხულოს რაიონებში. ფაქტობრივად საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლები 2384 მოსწავლისათვის, რაც ნახევარი წლის გეგმის 99 პროცენტს შეადგენს.

გაცილებით სერიოზულად დგას საკითხი პროფტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის საქმეში, რომელიც, როგორც მეათე ხუთწლედში, კვლავინდებურად ნელი ტემპით ვითარდება, რის გამოც 5 თვის მანძილზე არც ერთი სასწავლებელი არ ჩამდგარა მწყობრში!

ცნობილია, რომ სკკპ XXV და XXVI ყრილობებმა პროფტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების დიდი პროგრამა დაგვისახა. ამ ამოცანის განსახორციელებლად გასულ ხუთწლეულში პროფტექნიკური განათლების სისტემის ობიექტების მშენებლობისათვის ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფომ გამოყო 60 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალდაბანდებანი. საექსპლოატაციოდ გადაეცა 44 ობიექტი, რამაც საშუალება მოგვცა სასწავლო ადგილი 15440 ერთეულით გაგვეზარდა, მაგრამ მთლიანად დასახული პროგრამა არ შესრულებულა. მოიჯარე ორგანიზაციები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს სისტემატურად ვერ ანაღდებენ, რის შედეგად გასულ ხუთწლედში გეგმა მხოლოდ 65 პროცენტით შესრულდა. წლების მიხედვით შეიმჩნეოდა კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულების შემცირების ტენდენცია. ასე, მაგალითად, თუ 1976 წელს საიჯარო სამუშაოების გეგმა 82 პროცენტით შესრულდა, შარშანწინ ეს მონაცემი 56 პროცენტამდე შემცირდა.

სამწუხაროდ, არც შარშან და არც წლეულს ექვს თვეში მდგომარეობა არ გამოსწორებულა. შარშან 1980 წელთან შედარებით პროფტექნიკური სასწავლებლის მშენებლობის გეგმა 3,8 მილიონი მანეთით შემცირდა, ხოლო საიჯარო სამუშაოები 30 ობიექტიდან ოცდაორზე არ შესრულებულა.

შემაშფოთებელი მდგომარეობა შეიქმნა ამ ობიექტების მშენებლობაზე გასულ ექვს თვეში. საგეგმო 3191 ათასი მანეთის ნაცვლად მშენებლებმა აითვისეს მხოლოდ 2136 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 67 პროცენტი.

ეს იმიტომ მოხდა, რომ მთავარი მოიჯარე ორგანიზაციების — რესპუბლიკის მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების სისტემებში შემავალი სამშენებლო ტრესტების ხელმძღვანელებმა გაუმართლებლად მოადუნეს ყურადღება და კონტროლი პროფტექნიკური სასწავლებლების ახალი ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი.

დამკვეთის — რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ და მოიჯარის — საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს მე-7 ტრესტის (უფროსი უჩანეიშვილი) უპასუხისმგებლობის შედეგია ის, რომ ტყიბულში 480-ადგილიანი პროფტექნიკური სასწავლებლის მშენებლობაზე, რომელიც ორი წელია დაიწყო, დღეისათვის მხოლოდ მიწის სამუშაოებია შესრულებული! უფრო მეტიც — მე-7 ტრესტს წლეულს ამ ობიექტზე საიჯარო სამუშაოთა გეგმა საერთოდ არ მიუღია". ზემოთ აღნიშნული ტრესტის უგერგილო მუშაობის შედეგია ისიც, რომ მიუხედავად რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოს სპეციალური დადგენილებისა, რომელიც 1981 წელს ამბროლაურში 600-ადგილიანი პროფტექნიკური სასწავლებლის ამოქმედებას ითვალისწინებდა (მშენებლობა 1979 წელს დაიწყო), სასწავლებლის კომპლექსში შემავალი არც ერთი შენობა არ გადაცემულა საექსპლოატაციოდ.

არადამაკმაყოფილებლად, ნელი ტემპით აშენებენ პროფტექნიკურ სასწავლებლებს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტებიც. საილუსტრაციო მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება, მაგრამ ამჯერად ჩვენ ერთს დავასახელებთ: ამ სამინისტროს № 3 ტრესტი 1978 წლიდან ცხინვალში 600-ადგილიანი პროფტექნიკური სასწავლებლის მშენებლობას შესდგომია; თავდაპირველად მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა მომდევნო წელს იყო გათვალისწინებული. მაგრამ იმის გამო, რომ ტრესტი (უფროსი აბულაძე) სისტემატურად შლიდა საიჯარო სამუშაოების გეგმას, ობიექტის ამოქმედება წლითიწლობით იდებოდა. ასე კუს ნაბიჯით შენდებოდა იგი განვლილ 6 თვეში (შესრულების პროცენტი-67). წლეულს ობიექტი საექსპლოატაციოდ უთუოდ უნდა გადაეცეს. მაგრამ ამ პროგრამას ჩაშლა ელის, ვინაიდან მშენებარე ტრესტის ხელმძღვანელობას ბლომად დაუგროვდა „ხელისშემშლელი“ მიზეზები.

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლეგიამ თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვას ამ ობიექტის ამოქმედების შესახებ. გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ აღნიშნული ობიექტის მშენებლობა და მისი ამოქმედების ვადები კონტროლზე არ არის აყვანილი, ამასთან მშენებლებს არ უწევენ ქმედით დახმარებას, განსაკუთრებით მშენებლობის საჭირო მუშა-ხელით უზრუნველყოფის საქმეში.

„მშენებლობის პრობლემები, — განაცხადა საქართველოს კომპარტიის IX პლენუმზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, — საჭირბოროტო, მწვავე პრობლემებია. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, პირადად პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები უფრო კონკრეტულად და უფრო საგნობრივად წყვეტდნენ მათ, სისტემატურად აკონტროლებდნენ საქმის ვითარებას ყველა ობიექტზე“.

მიიწურა აგვისტოს პირველი დეკადა. მშენებელთა ღირსების საქმეა ყველაფერი იღონონ, რათა კაპიტალდაბანდებანი წლეულს სრულად იქნეს ათვისებული არა მარტო მთელ რესპუბლიკაში, არამედ ყოველ რეგიონში, ყოველ ქალაქში, ყოველ რაიონში!

სოფელ ხეივნის უხუცესი

ეს სოფელი სულ 45 წლისაა. 1937 წელს მელიორატორების მიერ დაშრობილ კოლხეთის მიწაზე რაჭა-ლეჩხუმის მთებიდან ჩამოვიდნენ პირველი ახალმოშენეები. და გამოცოცხლდა გაუვალი ჭაობები, ჭანჭრობთა და ბუჩქნართა საუფლო:

იმათ შორის, ვინც ითვისებდა და სიცოცხლეს უბრუნებდა კოლხეთის მიწას, ვისაც აქ ბოსტნეული, ხილი, სიმინდი, ყურძენი და თამბაქო მოჰყავდა, იყო პროკოფი ხვანიძე. ომი რომ დაიწყო, იგი უკვე ბრიგადირად მუშაობდა. მერე ფრონტზე წავიდა.

კავკასიის მთისწინეთიდან ბერლინამდე იარა ხეივნელმა ჯარისკაცმა. ორი დიდების ორდენით აღინიშნა მისი საბრძოლო გზა: ვისლის, ხოლო შემდეგ ოდერის გადალახვისათვის პროკოფი ხვანიძემ III და II ხარისხის დიდების ორდენები დაიმსახურა.

შინ გამარჯვებით დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო დიდი გატაცებით შეუდგა მუშაობას კოლმეურნეობაში. მისი თავდადებული შრომა 1947 წელს გმირის ოქროს მედლით აღინიშნა, 1950 წელს კი პროკოფი ხვანიძე მეორედ გახდა სოციალისტური შრომის გმირი.

წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება ქალაქ გაგრის ზონის სოფელი ხეივანი. თუ 1970 წელს მეურნეობის შემოსავალი 550 ათასი მანეთი იყო, 1980 წელს 926 ათასი მანეთამდე გაიზარდა, ხოლო შარშან მილიონს გადააჭარბა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კოლმეურნეებმა განიზრახეს წლეულს მნიშვნელოვნად გადააჭარბონ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის, ყურძნის, ციტრუსების, თამბაქოს, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საგეგმო დავალება.

სურათებზე: ორგზის სოციალისტური შრომის გმირი პ. ხვანიძე; 1944 წელი, მოქმედი არმია. უმცროსი სერჟანტი პროკოფი ხვანიძე ფრონტზე შესვენების წუთებში; პ. ხვანიძე კოლმეურნეობის ახალგაზრდა მექანიზატორებთან.

ი. ჟოხონელიძის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

არ შევამცირებთ მოსავალს

68 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქტები

ახლა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად იბრძვიან სკკპ XXVI ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის. ამ საქმის მაორიენტირებელი დოკუმენტებია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებიც შემუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის და ივლისის პლენუმების დადგენილებათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, და ძირითადად სასურსათო პროგრამის განხორციელების გზებს გვიჩვენებენ.

ჩვენს კოლმეურნეობას შრომითი გამარჯვებების საუკეთესო ტრადიციები აქვს. მეათე ხუთწლედი სასახელოდ დავამთავრეთ, ხოლო 1980 წელს მოპოვებული შრომითი მაჩვენებლებისათვის კოლმეურნეობას სამშობლოს მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა.

ამ მაღალი ჯილდოს პასუხად მეთერთმეტე ხუთწლედის პირველსავე წელს ჩვენმა კოლმეურნეებმა ახალ-ახალი წარმატებები უპატაკეს სამშობლოს, დიდი გადაჭარბებით გავანაღდეთ ყველა ნაკისრი ვალდებულება, მარტო მევენახეობამ 4 მილიონ 600 ათასი მანეთი მოგვცა, ხოლო მოგებამ მილიონ 200 ათასი მანეთი შეადგინა. შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ 11 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მოკრიფა და რესპუბლიკაში ყურძნის წარმოების რეკორდსმენის სახელი მოვიპოვეთ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ კოლმეურნეებმა საკარმიდამო ნაკვეთებიდან სახელმწიფოს 4.000 ტონა ყურძენი მიჰყიდეს და საკუთარ მარანში 3.000 ტონაზე მეტი ჩაწურეს, ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება ვაზისუბნელი მევენახეების შრომისმოყვარეობაზე. ასე რომ, ჩვენმა სოფელმა შარშან 17.000 ტონა ყურძენი აწარმოვა.

მაგრამ ეს ყველაფერი წარსულმა ჩაიბარა და უკეთესი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის საფუძველი მოგვცა.

წლევანდელი წლის ამინდის ჭირვეულობამ, გამძვინვარებულმა სტიქიამ, ისევე როგორც მთელ რესპუბლიკას, ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებსაც სერიოზული სიძნელეები შეუქმნა და მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა. სამჯერ მოსულმა ძლიერმა სეტყვამ, კოკისპირულმა წვიმებმა განადგურებისა და მოსპობის საფრთხე შეუქმნა 1.030 ჰექტარ ზვრებს, მაგრამ სტიქიამ მხოლოდ 4.000 ტონა ყურძნის წაგლეჯა შეძლო, ზარალმა დაახლოებით 1,5 მილიონი მანეთი შეადგინა. გადარჩენილ ვენახებში ყურძენი უკლებლივ შევინარჩუნეთ. ზარალი მაინც ზარალად დარჩა და მის ასანაზღაურებლად რეზერვების ძიება დაგვჭირდა.

კარგად გაისარჯნენ მეცხოველეები. მათი უპირველესი ამოცანაა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

დღეისათვის დამზადებული გვაქვს საჭიროზე მეტი უხეში საკვები, რომელსაც 100 ტონა კიდევ მიემატება; ორმოებში ზამთრისათვის ინახება 600 ტონა სენაჟი, 600 ტონის ნაცვლად დავამზადებთ 800 ტონა სილოსს, 300-ის ნაცვლად — 500 ტონა საკვებ ძირხვენებს და სხვ. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს მსხვილფეხა პირუტყვი 400-ის ნაცვლად ვიყოლიოთ 440 სული, 800 ღორის ნაცვლად — 850 და ა. შ. საგეგმო 80 ტონის ნაცვლად ვაწარმოებთ 90 ტონა ხორცს, რაც გეგმის გადამეტებით 20 ათას მანეთს მოგვცემს. საგეგმოზე მეტ შემოსავალს მივიღებთ 380 ტონა რძის წარმოებითაც. ეს გეგმას 30 ტონით გადააჭარბებს.

302 ტონის ნაცვლად ვაწარმოებთ 400 ტონა მარცვლეულს და 13 ათას მანეთ ზეგეგმითს მოგებას მივიღებთ.

კოლმეურნეობის მილიონიან ყულაბაში (140 ტონა ზეგეგმითი ბალჩეულის წარმოებით) 28 ათას მანეთს შევიტანთ. 100 ტონა ზეგეგმითი ხილის წარმოებით სულ ცოტა 35 ათას მანეთს მივიღებთ და ა. შ.

სახელმწიფოსათვის გეგმის გადაჭარბებით აბრეშუმის პარკის მიყიდვამ 32 ათასი მანეთი მოგება მოგვცა. რეზერვები გვაქვს ბოსტნეულის წარმოებაშიც. ასე რომ, ჩვენ არც ამჯერად ვუღალატებთ ტრადიციას, საქმით შევასხამთ ხორცს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII და IX პლენუმების გადაწყვეტილებებს და ღირსეულად შევხვდებით სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ზეიმს.

რ. მღებრიშვილი,

გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მთლიანად შევინარჩუნოთ ჭირნახული

ცხაკაიელთა სიტყვა

მხარს უჭერენ სარატოველთა თაოსნობას

ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის მთლიანად და უდანაკარგოდ აღებისა და დროულად გადამუშავებისათვის სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა თაოსნობის მხარდაჭერას და მუშაობაში დანერგვას მიეძღვნა ცხაკაიას რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების დეპუტატთა შეკრება.

შეკრებაზე სარატოველთა ინიციატივის შესახებ მოხსენება გააკეთა ცხაკაიას სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ცაგურიამ.

სიტყვები წარმოთქვეს დეპუტატებმა: თეკლათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **თ. კანკიამ**, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაკმა **მ. ზამათავამ**, ქალაქის ბაგა-ბაღის გამგემ **მ. შარტავამ**, უშაფათელმა მეჩაიემ **ჟ. ბოკუჩავამ**, კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. მიხაბიშვილმა**, რესპუბლიკის დამსახურებულმა ჟურნალისტმა, პენსიონერმა **ბ. მილიუტინმა**, ხორშის „გამარჯვების“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ა. თოდუამ**, „საქსახსოფლტექნიკის“ სარაიონთაშორისო გაერთიანების მმართველმა **გ. მოსიძემ** და სხვებმა.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ესვანჯიამ**.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულებმა ილაპარაკეს ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში სარატოველთა ინიციატივის მნიშვნელობაზე, ერთსულოვნად მოიწონეს იგი და კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს ამ თაოსნობის ფართოდ გავრცელებისათვის.

სარატოველთა თაოსნობის პასუხად შეიქმნა რაიონული შტაბი, გადაწყდა აგრეთვე ადგილებზე ჩამოყალიბდეს 70-მდე ჯგუფი და საგუშაგო, რომლებშიც შევლენ დეპუტატები, სახალხო კონტროლიორები, „კომკავშირული პროჟექტორის“ წევრები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, აქტივისტები.

შემუშავებულია კონკრეტული გეგმები რაიონული შტაბის ჯგუფებისა და საგუშაგოების ყოველდღიური საქმიანობის გასაშლელად ჩაის დარგში, მარცვლეულის ნათესების მოვლა-პატრონობისა და გამოზამთრებისათვის საზოგადოებრივი პირუტყვის მოსამზადებლად. საგუშაგოები პერიოდულად მოახსენებენ შტაბს მუშაობის მიმდინარეობას.

შეკრებამ მიიღო მიმართვა ცხაკაიას რაიონის, ქალაქისა და სოფლის ყველა დეპუტატისადმი, სახალხო კონტროლიორებისადმი, „კომკავშირული პროჟექტორის“ წევრებისადმი, მუშა და სოფლის კორესპონდენტებისადმი, რომელშიც გამოთქმულია რწმენა, რომ ცხაკაიას რაიონის მშრომელები კვლავაც მთელი მონდომებით იშრომებენ 1982 წლის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

„კომუნისტის“ კორ.

საქართველოს მშრომელები მოითხოვენ

რესპუბლიკაში კვლავ იმართება საქართველოს მშრომელთა საპროტესტო მიტინგები ისრაელის მხედრიონის ბანდიტური მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც მეთოდურად სპობს ლიბანის მშვიდობიან მოსახლეობას.

— ლიბანში ისრაელი მკვლელები იყენებენ გადაბუგული მიწის ტაქტიკას. თელ-ავიველი „ქორები“, რომლებიც ვაშინგტონს უთანხმებენ მოქმედებას, იმის გარდა, რომ არ წყვეტენ დასავლეთ ბეირუთის მჭიდროდ დასახლებული რაიონის ხმელეთიდან და ზღვიდან დაბომბვასა და საარტილერიო ცეცხლის დაშენას, ცდილობენ ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ ქალაქის დამცველებზე და გატეხონ მათი ნებისყოფა, — განაცხადა თბილისის რეზინ-ტექნიკური და ქიმიური ნაწარმის ქარხნის კოლექტივის მიტინგზე დიდი სამამულო ომის მონაწილემ, მუშამ ა. არუთინოვამ. — ისრაელი, რომელიც არღვევს დასავლეთ ბეირუთში სასმელი წყლის, მედიკამენტებისა და სურსათის მიწოდებას, ფაქტობრივად ისწრაფვის შიმშილით ამოხადოს სული პალესტინელებს, მაშასადამე, ქალაქის ამ ნაწილის მთელ მოსახლეობას.

— ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილი, — თქვა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ა. ჩაფიძემ, — კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა პრინციპული საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა, რომლის მიზანია მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა.

ისრაელი დამპყრობლების ბოროტმოქმედება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელშეწყობით ხორციელდება, — გენოციდის დანაშაულებრივი აქტია, — თქვა საამქროს უფროსმა გ. გელდავამ. — აგრესორები ხოცავენ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს. ისინი ამერიკის იარაღით სიკვდილს თესავენ ლიბანის მიწაზე.

მუშამ ო. თოთლაძემ თავის გამოსვლაში სამარცხვინო ბოძზე გააკრა ისრაელი ვანდალები. მან ხაზი გაუსვა, რომ ისრაელმა ტერორი სახელმწიფო პოლიტიკად გაიხადა.

მიღებულ რეზოლუციაში საწარმოს მუშები და მოსამსახურეები გულისწყრომით აცხადებენ პროტესტს ახლო აღმოსავლეთში ისრაელის გენოციდის პოლიტიკის წინააღმდეგ. მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთში, მთელ ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის დამყარება. (საქინფორმი).

გესაუბრებათ მინისტრი

სოფელს — ქალაქური კეთილმოწყობა

სოფლად ცხოვრების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის ორგანული შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა რესპუბლიკის საბინაო კომუნალური მეურნეობის მინისტრს ნ. გ. ვაშაძეს პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის სოციალურ განვითარებასთან, სასოფლო კომუნალური სამსახურების ჩამოყალიბებასა და საქმიანობასთან.

როგორ არის ორგანიზებული ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა კომუნალური მომსახურება?

ქვეყნის სხვა ორ რესპუბლიკასთან ერთად ვახორციელებთ სასოფლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა შექმნის ექსპერიმენტს და იმას მივაღწიეთ, რომ დღეისათვის ამგვარი გაერთიანებანი რესპუბლიკის 32 რაიონში მოქმედებს. განვლილ ექვს წელიწადში გაწეულმა მუშაობამ დადებითი შედეგები მოგვცა. რესპუბლიკის სოფლის ერთ მცხოვრებზე განგარიშებით სამუშაოები და მომსახურება წელიწადში 1976 წლის 26 კაპიკიდან ამჟამად გაიზარდა 6 მანეთსა და 84 კაპიკამდე.

სასოფლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის ძირითადი მიზანია სოფლებში კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობა (წყალსადენი, კანალიზაცია, გათბობა, ცხელი წყლით მომარაგება, გარე განათება, გარეგანი კეთილმოწყობის ობიექტები), არსებული, მაგრამ მოუვლელი მეურნეობების რემონტი და აღდგენა და ბოლოს, მათი ბალანსზე მიღება და კვალიფიციური ექსპლოატაციის უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანი და შრომატევადი სამუშაოა, რადგანაც საბინაო-კომუნალური მეურნეობის სასოფლო ობიექტებს უგერგილოდ უვლიდნენ, რის გამოც მათი 70 პროცენტზე მეტი მწყობრიდან გამოვიდა.

რა ობიექტებს ვაშენებთ? მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ლანჩხუთში მიმდინარეობს რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა, მახარაძეში ვაგებთ საბავშვო ბაღს, გორში — თბოტრასასა და საქვაბეს, ბოგდანოვკაში — ორ აბანოს, დუშეთში — ბონდის ხიდს და სოფლის ორ წყალსადენს, ტყიბულში, წყალტუბოში, წალენჯიხაში — სასოფლო გზებს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რაიონულ სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებში შედიან წილობრივ საწყისებზე და გაერთიანებასთან შექმნილ რწმუნებულთა საბჭოს წევრები არიან. სამუშაოები წარმოებს ხელშეკრულებებით, ამ საქმეში ვაბამთ მუშებსა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ კოლმეურნეებს. გაერთიანებები ადგილობრივი ნედლეულისაგან აწარმოებენ საშენ მასალებს. მაგალითად, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში მოვაწყეთ ღორღის კარიერი, მარნეულისა და ლაგოდეხის რაიონებში დავიწყეთ ბაზალტისა და გრანიტის მოსაპირკეთებელი ფილების — საკედლე ბლოკებისა და აგურის წარმოება.

ასეთი კომუნალური მომსახურება ურთიერთხელსაყრელია, მაგრამ მისი შემდგომი განვითარების საკითხი უნდა ავწონ-დავწონოთ და დიდი გულმოდგინებით მივუდგეთ. იგი უნდა განხორციელდეს რაიონული სამეურნეობათაშორისო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების მეშვეობით. პერსპექტივაში სამუშაოების და მომსახურების მოცულობის ზრდის კვალობაზე — რაიონულ კომბინატებთან ერთად შეიძლება სასოფლო კომბინატებიც შევქმნათ. ცხოვრება გვიჩვენებს, თუ რა ახალი რეზერვები უნდა ავამოქმედოთ სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მითუმეტეს, რომ ამ ამოცანის შესრულებას, ეჭვგარეშეა, დრო დასჭირდება.

სოფლის მეურნეობის მართვის ახალ სტრუქტურასთან დაკავშირებით რა ცვლილებები შეგაქვთ გაერთიანებათა მუშაობის ორგანიზაციაში?

სასოფლო-საბინაო კომუნალური მეურნეობის რაიონული გაერთიანებანი ახლა რაიონული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებათა წევრები ხდებიან. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ წარვმართოთ მათი საქმიანობა, მაქსიმალურად დავუმორჩილოთ იგი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების საარსებო ამოცანებს.

სასოფლო კომუნალური სამსახურების შემკვეთები არიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, რაიონული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები. წლითიწლობით ისინი ჩვენი დარგის მუშაკებს სულ უფრო მეტ მოთხოვნებს წაუყენებენ.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე ბევრი რაიონული ცენტრი და სოფელია, რომლებიც კეთილმოწყობის დონით არაფრით ჩამოუვარდებიან ქალაქს. ასეთია, მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფელი რუხი, გურჯაანის რაიონის სოფელი ველისციხე, გორის რაიონის სოფელი მეჯვრისხევი და სხვები. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია სოფელი, სადაც ქალაქური კომფორტის ნასახიც არ არის, განსაკუთრებით მთისა და ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ აღებული ამ რაიონების ეკონომიკის აღმავლობის კურსი, მათი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მკაცრად რომ ვთქვათ, მაინც ნელა ხორციელდება, თუმცა უკანასკნელ ხანს ბოგდანოვკის, ასპინძის, ხელვაჩაურის რაიონების სასოფლო საბინაო-კომუნალურმა გაერთიანებებმა გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მომავლისათვის უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ მთის რაიონების კეთილმოწყობის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რის საფუძველზეც იქ უნდა შეიქმნას კარგად აღჭურვილი სასოფლო საბინაო-კომუნალური სამსახურები.

რა უნდა გაკეთდეს სოფლად საბინაო-კომუნალური სამსახურის შემდგომი განვითარების მიზნით?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაავალეს სახალხო-სამეურნეო გეგმებში გაითვალისწინოს სასოფლო საბინაო-კომუნალური მეურნეობების სამუშაოთა მოცულობანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებისა და წილობრივი შენატანების ხარჯზე. მაგრამ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სამუშაოებს გეგმავს მხოლოდ კოლმეურნეობების ლიმიტების ხარჯზე. ამის შედეგად იმ რაიონების სოფლები, რომლებშიც მხოლოდ საბჭოთა მეურნეობებია, კომუნალური მშენებლობისა და მომსახურების გარეშე რჩებიან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე აღინიშნა, რომ სასოფლო მშენებლობის მექანიზმი სრულყოფას მოითხოვს. ახლა აღარავისთვის საეჭვო აღარ არის, — ითქვა პლენუმზე, — რომ რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ უნდა განახორციელოს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვა რაიონში. ეს გეგმა შემდეგ იგზავნება შესაბამის სამინისტროებში, უწყებებში რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შემდგომი წარდგენით. დაგეგმვის ასეთი ფორმა (ქვევიდან ზევით) სრულიად გამართლებულია თანამედროვე პირობებში.

ჩვენი აზრით, უკვე დადგა დრო დავაყენოთ საკითხი, რათა სოფლად კომუნალური მეურნეობის ყველა ობიექტი გადაეცეს იქაურ კომუნალური ორგანოების ბალანსზე და მომსახურებისათვის. ჯერ კი, მაგალითად, სასოფლო წყალსადენებს ექსპლოატაციას უწევს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, თუმცა პრაქტიკამ დაგვიმტკიცა, რომ ისეთ რაიონებში, როგორიცაა ბოლნისის, მარნეულის, ზუგდიდის, თელავის რაიონები, წყალსადენების ექსპლოატაცია კომუნალური სამსახურის მიერ უფრო ხელსაყრელია. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ წყალსადენი არ შედის სასოფლო კომუნალური ორგანოების გამგებლობაში, ძნელდება კომუნალური მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი ქვედარგების განვითარება, როგორიცაა გათბობა, ცხელი წყლის მიწოდება, თბომომარაგება და ა. შ.

სასოფლო კომუნალური მეურნეობების მომარაგება საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ჯერ კიდევ სათანადოდ არ ხორციელდება. თვითკრიტიკულად უნდა ვაღიარო, რომ ჯერ კიდევ ვერ მივიღეთ საჭირო ზომები ადგილობრივი ნედლეულისაგან საშენი მასალების წარმოების მოცულობის გაფართოებისათვის. სასოფლო კომუნალური სამსახურის შემდგომი განვითარება ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების დაძლევის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია.

აი ასეთი მწამს კომუნისტი!

აბა დააკვირდით ამ სურათს: მასზე ალალმართალი და უდრეკი ნებისყოფის, შეუპოვარი კაცის სახეა აღბეჭდილი. ოციანი წლების კომუნისტები რომ ატარებდნენ, სწორედ ისეთი ქუდი ახურავს. სურათი ვანის რაიონის საფონდო მასალებიდან არის ამოღებული.

ვინ არის, რატომ შემოინახა რაიონის ისტორიამ ამ კაცის სურათი? როგორ გაჩნდა ეს სურათი „კომუნისტის“ რედაქციაში?

აი ამ კითხვებს გვინდა ვუპასუხოთ. ჯერ იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა ეს სურათი რედაქციაში: ამას წინათ რედაქციამ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„პატივცემულო რედაქციავ!

გაწუხებთ ქ. ვანის მცხოვრები, 82 წლის მარიამ ვალერიანის ასული აბრამიძე. მინდა ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ. ჩემი მეუღლის — (თუმცა სულ 12 წელიწადი ვეწიოდით ცხოვრებასა და ოჯახის უღელს, აგერ 52 წელიწადია ცალუღელს ვეწევი), სილოვან მარკოზის ძე აბრამიძის ბრძოლისა და ცხოვრების შესახებ მინდა მთელმა საქართველომ იცოდეს. იგი ამის ღირსია.

თქვენ იტყვით, რატომ მაინცდამაინც ახლა მოისურვე სილოვანის გმირულ საქმეთა გაქვეყნებაო. საბჭოთა კავშირის შექმნის მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით ბევრი ალალმართალი კომუნისტის სახელი გაიხსენეთ. მე მათ შესახებ დაბეჭდილ წერილებს ჩემი შვილიშვილები მიკითხავენ და გული დამწყდა, რომ სილოვან აბრამიძის დიდ საქმეთა შესახებ არსად არაფერი დაწერილა. ის ხომ ჩვენი ქვეყნის მტრებმა უდროოდ გამოასალმეს სიცოცხლეს. მან სულ 37 წელი იცოცხლა და ძალზე ბევრი გააკეთა ხალხისათვის. იგი დიდი გულის მგზნებარე კომუნისტი იყო და მისი საგმირო საქმეები ჩვენი ახალგაზრდების სულიერად ჩამოყალიბებაზე უთუოდ კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს.

მაპატიეთ, ამას პატივმოყვარეობაში ნუ ჩამომართმევთ. ბევრი ვიფიქრე, მომეწერა თუ არა წერილი და მაინც გადავწყვიტე შეგაწუხოთ. აწი თქვენ იცით...“

მარიამ აბრამიძე (ს. აბრამიძის ქვრივი)“.

ამ ბარათით რედაქცია დაინტერესდა და ჩვენ პარტიის ვანის რაიკომის მდივანთან შიო გიორგაძესთან ერთად აბრამიძეების ოჯახს ვესტუმრეთ. მოხუცმა ქალმა ერთობ გაიხარა, რომ „კომუნისტის“ რედაქციამ მის ბარათს სათანადო ყურადღება მიაქცია.

მაშ ასე, სილოვან აბრამიძის შესახებ მისი ქვრივის—მარიამის დახმარებით გვინდა მოგითხროთ.

ეს სანდომიანი ქალი გაღარიბებული მარკოზას ბიჭს როგორ გამოატანესო, ჩურჩულებდნენ ქვედავანელები, გარე-გარე მოსიარულეა, კაი ოჯახს როგორ შექმნისო. სილოვანა ჯანყის თავია, ოჯახს გულს ვერ დაუდებს, რატომ გააუბედურა მარიამიო. დამბაჩისა და ჩხუბისმოყვარულ ახალგაზრდას ცოლ-შვილი რად უნდაო.

ბიჭო, შვილო, გაჩერდი, ოჯახს მიხედე, ის გირჩევნია. შენ რა გგონია, ნიკოლოზ მეფეს ჩამოაგდებ? ეუბნებოდნენ მახლობლები. ნახავთ თუ არ ჩამოვაგდებთო, — უპასუხებდა ხოლმე სილოვანი. მე ვიცი, ვანის მამასახლისად დაგნიშნავენო, ჯიუტად ეუბნებოდნენ შინაური კაცები. მამასახლისადაც დამნიშნავენ და უფრო მეტადაცო. სოფელს მამასახლისი კი არა, თავისი მოჭირნახულე და ქომაგი ხელმძღვანელი უნდაო, — იტყოდა ხოლმე სილოვანი.

მარკოზას სილოვანი კომუნისტების პარტიაში შესულაო; კომუნისტები ვინ არიანო, — უკვირდათ წერა-კითხვის უცოდინარ გლეხებს. სილოვანი გულდასმით უხსნიდა თანასოფლელებს, თუ რა მიზნებს ისახავდნენ კომუნისტები. ბევრმა დაუჯერა ჭკვიან ახალგაზრდას და სილოვანს მხარში ამოუდგა.

— სილოვანი სწორედ იმ წელიწადს შევიდა პარტიაში, როცა მე შემირთო ცოლად, — იგონებს მარიამი, — მე, რა თქმა უნდა, ვერ ვერკვეოდი კომუნისტების მიზნებსა და ამოცანებში, მაგრამ სილოვანის ჭკვიან თვალებში ყველაფერს ვკითხულობდი, მისი სახის გამომეტყველებით დავრწმუნდი, რომ ჩემი მეუღლე კარგ გზაზე იდგა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ მიზნის მიღწევა არცთუ ისე იოლი იქნებოდა.

„სოფელო, მიეთ-მოეთო, საბრუნავისა მახეო, ზოგსა ცათამდის აიყვან, ზოგსა უკულმა დაჰხეო“... სილოვანი და სხვა ვანელი კომუნისტები, დიდი რევოლუციისათვის რომ ემზადებოდნენ, სწორედ მაშინ საქართველოში მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება. სილოვანი თურქეთის ომში გაამწესეს, მაგრამ იქაც

კვალი ნათელი

არ მოისვენა — ჯარისკაცებს მოუთხრობდა იმის შესახებ, თუ როგორ დაამხეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მეფის რუსეთის თვითმპყრობელური წეს-წყობილება, როგორ გახდნენ, მუშები და გლეხები ხელისუფლების დიდი ძალა. ვანელი კომუნისტის ნაამბობი ბევრ ჯარისკაცს ჭკუაში დაუჯდა და ირწმუნა, რომ კომუნისტები სამართლიანობისათვის იბრძოდნენ, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ საქართველოს მშრომელებისათვის ბედნიერი ცხოვრების მოტანა.

სილოვან აბრამიძემ თურქეთის ომიდან შინ დაბრუნებისთანავე გააჩაღა არალეგალური მუშაობა და თავდადებით იბრძოდა საქართველოში კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის.

სიღარიბისაგან წელგაწყვეტილმა გლეხობამ კომუნისტების ალალ სიტყვას დაუჯერა, სანდო კაცების ოჯახებში იკრიბებოდნენ, არალეგალურად კომუნისტური პარტიის წევრად იღებდნენ გაბედულ, დიდი საქმის ერთგულ ადამიანებს. ქვედა ვანში, „სანიოსეულას“ ტერიტორიაზე, სადაც სილოვან აბრამიძის ღარიბული სახლი იდგა, პარტიული ორგანიზაციის კრებებზე იხილავდნენ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, ამზადებდნენ მომავალი, გადამწყვეტი ბრძოლის კონკრეტულ გეგმებს.

გლეხობა შიმშილისაგან და გაჭირვებისაგან სულს ღაფავდა. ვეღარ ითმენდნენ მენშევიკთა უკუღმართობას, შეიარაღებულ აჯანყებას მოითხოვდნენ, აჯანყების ნაპერწკალი ხან ერთ, ხან მეორე სოფელში იფეთქებდა, ხოლმე. სილოვანი ქვედა ვანში გამოსვლების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და მოთავე იყო. მენშევიკები სისხლში ახშობდნენ გლეხთა გამოსვლებს, მოთავეებს კი მკაცრად უსწორდებოდნენ.

— ბიჭო, სილოვან, გეყოფა, დაწყნარდი, ხომ ხედავ, არაფერი გამოდის, — ეტყოდა ხოლმე მამა.

— არა, მამაჩემო, დღეს თუ ვერ გავიმარჯვეთ, ხვალ გავიმარჯვებთ. ხვალ უფრო მეტი ვიქნებით, საქართველო მთლად აღდგება და აი მაშინ ნახავთ, ვინ გაიმარჯვებს, — გულადად უპასუხებდა ხოლმე სილოვანი.

— რატომ არ ისვენებ, რა გინდა, შვილო, ისე ხარ ატეხილი, გეგონება ვანის მამასახლისობა ხელში გქონდეს, — არ ეშვებოდა მამა.

— მამასახლისობას რა თავში ვიხლი, მე მინდა ეს მიწები ყველას თანაბრად ჰქონდეს. ამ მიწას შეუძლია ვანის ხალხი შეძლებულად აცხოვროს. მაშ რატომ ვერა ვცხოვრობთ? იმიტომ რომ ჩვენი ნაშრომით სხვები — სოფლის ბობოლები მდიდრდებიან.

„სანიოსეულაში“ გლეხთა დიდი გამოსვლები მოაწყვეს კომუნისტებმა, მაგრამ მენშევიკებმა იარაღი იხმარეს... ციხეებში ადგილი აღარ იყო, სილოვანი სხვა მოთავეებთან ერთად ეკლესიაში ჩაამწყვდიეს. ეს იყო სილოვანის ბოლო პატიმრობა. ისინი ეკლესიიდან გაიქცნენ და ისევ რევოლუციურად განწყობილ გლეხკაცობას ჩაუდგნენ სათავეში, პოეტის ლექსით მოუწოდებდნენ „მეგობრებო, წინ, წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული!...“

...და იმ თებერვლის სუსხიან დღეს ვანშიც აფრიალდა გამარჯვების წითელი დროშა. გამარჯვებულ ხელმძღვანელთა შორის სილოვან აბრამიძეც იყო. იგი რევკომის თავმჯდომარის იოსებ ვაშაყმაძის მოადგილედ აირჩიეს.

სილოვანის ახლობლებს არ სჯეროდათ, რომ სოფლის მამასახლისად კი არა, უფრო მეტი— რევკომის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. ეს ხალხის დიდი ნდობა იყო. ნდობას კი გამართლება უნდოდა, რადგან რევოლუცია გრძელდებოდა. ძველ ადათ-წესებს შეცვლა უნდოდა, ძველის დათრგუნვას და ახლის დამკვიდრებას კი, მხურვალე გულთან ერთად, გონიერება, არჩეული მიზნისაკენ დაჯერებული სწრაფვა უნდოდა.

— არც ეს კმარა. ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, იტყოდა ხოლმე სილოვანი. საჭიროა მასების დაჯერება, დიად საქმეთა საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა. ამისათვის ჯერ შენ უნდა გწამდეს არჩეული მიზნის სიმართლე და მერე უნარი უნდა შეგწევდეს, სხვაც დააჯერო და აიყოლიო...

სილოვანს სოფლელი კაცის კვალობაზე რკინის ლოგიკა ჰქონდა, მას უნარი შესწევდა ადამიანები დაერაზმა, შეეკავშირებინა, თუ საჭირო იყო, იარაღით ხელშიც კი გამოეყვანა.

...მაგრამ სოფლის წურბელა ბობოლები და ათასი ჯურის მტრები არ ისვენებდნენ. ისინი შეიარაღდნენ და ტყეში გაიჭრნენ. იმხანად ვანის ახლომახლო სოფლების გლეხკაცობასა და ახალი ცხოვრების მოთავეებს მოსვენებას არ აძლევდა ვასო, იოველ და პროკოფი დვალიშვილების შეიარაღებული ბანდა. ისინი ტერორსაც კი არ ერიდებოდნენ. ამ ბანდის ლიკვიდაცია მილიციას დაევალა. იმ დროს, სილოვანი, როგორც შეუპოვარი და მამაცი კომუნისტი, მილიციაში გადაიყვანეს. მას დვალიშვილების ბანდის განადგურება დაევალა. დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. ბანდა ლიკვიდირებულ იქნა, ზოგმა კი კეთილშობილი კაცის ნიღაბი აიფარა სახეზე და სოფლის საერთო ფერხულში ჩაება და მომენტს უცდიდა, რომ სიმართლისათვის მებრძოლ ხელმძღვანელთათვის სამაგიერო მიეზღო.

როცა ქვეყანაში კოლექტივიზაცია დაიწყო, როცა მიწის მუშაკნი ერთიანდებოდნენ, რომ სოფლის ხვავი და ბარაქა ემრავლებინათ, მაშინ თანასოფლელებმა სილოვან აბრამიძეს ამ ახალი საქმის მოთავეობა დაავალეს. იგი 1929 წელს რაიონში პირველი —ქვედა ვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. კოლექტიურ შრომაში უმიწო, ღარიბესი და ღარიბი გლეხკაცობა ჩაება. თავიანთი მიწები, ცოცხალი გამწევი ძალა გააერთიანეს, ბობოლებს ზედმეტი მიწა ჩამოართვეს და ურჩიეს კოლექტივში გაერთიანებულიყვნენ. კულაკურმა ელემენტებმა ეს იწყინეს. პირი შეკრეს და საყოველთაო-სახალხო საქმეს ლეგალურად თუ არალეგალურად წინ აღუდგნენ.

სილოვანს დაშინება ჯერ პროვოკაციული ხერხებით დაუწყეს: ფეხქალამნიანო სილოვანა, სოფელს თავი დაანებე, შინ წაეთრიე, შენს ცოლ-შვილს მიხედე, ჩვენ შეგვეშვი, თუ არა ძაღლივით ამოგაძრობთ სულს, სოფელს რა სჭირს შენი საუფროსოო. ვერც ამ ხერხმა გაჭრა. სილოვანი ერთგულად ასრულებდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ მითითებებს. იგი კარგად ხედავდა, რომ საკოლმეურნეო ცხოვრება სოფელს კეთილდღეობას მოუტანდა.

ქვედა ვანის ველ-მინდვრები, ჭალისა და მდინარის პირები გაკაფეს და გადაამუშავეს, სიმინდი, ლობიო და სხვა კულტურები დათესეს, კოლექტიური შრომით ვენახებიც გააფართოვეს. გვიან საღამოს შინ დაბრუნებული სილოვანი ცოლს აღფრთოვანებით უყვებოდა, რარიგ კარგია კოლექტიური შრომა, როგორ სჯეროდა გლეხკაცობას მისი.

მერე კი, როცა ტრაქტორები აგუგუნდა საქართველოს სოფლის ველ-მინდვრებში, როცა შრომა თანდათან სახალისო ხდებოდა და სოფლის დოვლათს დოვლათი ემატებოდა, კულაკებმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლეს — ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ მანქანასაც და ადამიანსაც. სილოვან აბრამიძეს კულაკები სიკვდილით დაემუქრნენ: სახლ-კარს გადაგიწვავთ, ცოლშვილს შენ თვალწინ ტანჯვით ამოვხდით სულს და შენც ზედ მიგაყოლებთო.

უტეხი იყო ვანელი კომუნისტი, კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე, მუქარას აინუნშიაც არ აგდებდა. იგი წარმოდგენით, გონების თვალით ხედავდა, ახლო მომავალში ქვედა ვანის კოლმეურნეობა როგორ გაძლიერდებოდა, როგორ შეიცვლებოდა სოფელი და გლეხი კაცის ცხოვრება. მომავლის რწმენა ყველაფერს ავიწყებდა.

მაგრამ კულაკები არ ხუმრობდნენ. გაბოროტებულნი კაცის კვლასაც კი არ თაკილობდნენ.

...და აი 1930 წლის 10 აგვისტოს ღრუბლიანი დღე (52 წლის წინანდელი ის დღე სილოვანის მეუღლეს მარიამს კარგად ახსოვს).

— კარგად მახსოვს ის დღე, დილიდანვე მოღრუბლული იყო, — იგონებს მარიამი, — ღრუბლები მთებიდან დაიძრა და ქვედა ვანს, მის ველ-მინდვრებს ტყვიასავით დააწვა. გუნებადამძიმებულმა გავაცილე სილოვანი შინიდან. მთელ დღეს ვერ ვისვენებდი, უხასიათოდ ვიყავი, ბავშვებს უმიზეზოდ ვუჯავრდებოდი. გუმანით ვხვდებოდი, რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყო, მაგრამ სილოვანის გაუტეხავი ხასიათი მამშვიდებდა, იგი ხომ უამრავჯერ გადაურჩა მტრის ტყვიას?

იმ საღამოს სილოვანმა კოლექტივის კრებაზე სოფლის მშრომელებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება გააცნო. შემდეგ კანტორაში შეყოვნდა, თვალწინ თავისი სოფლის მომავალი დაუდგა, წარმოიდგინა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ როგორ გაძლიერდებოდა სოფელი, შეძლებულად იცხოვრებდნენ მშრომელები.

შინ კმაყოფილი ბრუნდებოდა. დიდი, ძალიან დიდი საქმე იყო კოლექტივის ერთ ძალად შეკავშირება. თანასოფლელთა გამოსვლებში მან ეს კარგად იგრძნო და ეს აძლევდა საფუძველს კმაყოფილი ყოფილიყო.

...მაგრამ ზოგიერთების სახეზე ავკაცობა ამოიკითხა, თვალები აცა-ბაცა მისდიოდათ, თავმჯდომარის გაბრწყინებულ სახეს რომ უყურებდნენ, პირდაპირ შეხედვისა ერიდებოდათ, მაგრამ ეს სილოვანს აინუნშიაც არ ჩაუგდია, შინისაკენ მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა. გული კი მაინც დაუმძიმდა და რატომღაც ხალხური ლექსის სტრიქონები აეკვიატა და წამდაუწუმ გუნებაში იმეორებდა:

შენ ჩემო საფლავის კარო
შენამც კი აჰყვავდებოდე,
სახლო არ დაიშლებოდე,
ცოლო არ გათხოვდებოდე...

რას აეკვიატა ეს ტიალი ლექსი, რის დაშლა, რის გათხოვება... დასწყევლის ჭირი, ალბათ მოღრუბლული დღეა და ამიტომ დამიმძიმდა გუნება, — ჭიშკართან მისულმა სილოვანმა გაიფიქრა და...

...თოფმა იქუხა, ჩაბნელებულ შუკაში მეხის გავარდნასავით გაისმა „კარაბინის“ ხმა, ტყვია საფეთქელთან გაუზუზუნა სილოვანს. მეორედ, მესამედ იგრიალა თოფმა. სილოვანი ღობეს ჩაებღაუჭა და კვნესა აღმოხდა.. აი თქვენ... ზურგიდან ქურდულად მესროლეთ, ხომ? ფუი, შეგირცხვეთ კაცობა...

— როცა ჭიშკართან თოფის ხმა გავიგონე, გუმანით უმალ მივხვდი, რომ სილოვანს ესროლეს,—იგონებს მარიამი,— ექვსი თვის ორსული ქალი აივნიდან როგორ გადმოვხტი აღარ მახსოვს. მიწაზე დამხობილ სილოვანთან მივიჭერი, მოვეხვიე, ძლივს სუნთქავდა, პირში სული ჩავბერე, ასე მეგონა მოვაბრუნებდი, მაგრამ ხელებში შემომაცივდა. მაშინ კი თურმე განწირული ხმით ვიკივლე და თოფის გასროლისაგან აფორიაქებული მეზობლები ჩემსკენ გამოიქცნენ. აღარ მახსოვს, როგორ ამიყვანეს სახლში.

მას შემდეგ ორმოცდათორმეტი წელიწადი გავიდა. ოთხი შვილი დამრჩა ქვრივ ქალს. ძნელი იყო მათი რჩენა, მაგრამ ნათქვამია, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. დაუდეგარ შრომაში ვპოვე გამოსავალი. თვალწინ სულ სილოვანი მედგა. უხმოდ თან ვიცრემლებოდი, თან ვმუშაობდი. ასე მივაღწიე 1941 წლამდე. ბიჭი და სამი ქალიშვილი წამომეზარდნენ. ვიფიქრე, ახლა კი გამიშველა-მეთქი, მაგრამ კიდევ ერთი განსაცდელი მელოდა თურმე. ჩემი ვაჟიშვილი ამბროსი კრასნოდარისათვის ბრძოლაში დაიღუპა; ერთხელ კიდევ ჩამწყდა გული, ერთხელ კიდევ შევიმოსე ძაძებით. ქალიშვილები წამომეზარდნენ, მაგრამ შრომას თავს ვერ ვანებებდი. კარგი შვილები მყავს. ექვსი შვილიშვილი და რვა ბადიშიშვილი რომ დამესევა, თვალები ამიცრემლდება ხოლმე. რა იქნებოდა, სილოვანი და ჩემი ამბროსიც მოსწრებოდნენ ამ დღეს... ეხ, რაც იყო, იყო, ღმერთს ვთხოვ, ასეთი რამ აღარ განმეორდეს. ერთი სათხოვარი მაქვს ჩვენს მთავრობასთან: განა არ შეიძლება სოფლისათვის თავგანწირული ჩემი მეუღლის, ქვედა ვანის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარის სახელი მიეკუთვნოს ჩვენს კოლმეურნეობას?

შეუძლებელი რა არის. სიტყვა ვანის რაიონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს ეკუთვნით...

ვ. ვახტანგაძე,
გ. მოსეშვილი.
ვანის რაიონი.

კომპლექსი ალაზნის ველზე

● წნორის კომპლექსში 14.500 მსხვილფეხა პირუტყვი სუქდება ● წელს 1.900 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 2.000 ტონა ხორცი მიეყიდება ● პერსპექტივა: გაასუქებენ 20.000 სულ საქონელს

ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოემის „რამდენიმე ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ გმირი ზაქრო ამბობს: „ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა, გავიზიარეთ ყველამა საქმე“... და იქვე აგრძელებს—„და შუადღისას გოლვისა ჟამსა, ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა: ალაზანშია ვყრიდით ძროხასა“... ასე რომ, ალაზნის ველი ყოველთვის განთქმული იყო მეძროხეობით, ძროხა იყო ამ კუთხის მშრომელთა მარჩენალი.

ზამთართბილსა და ზაფხულცხელ ალაზნის ველზე უამრავი ძროხა და კამეჩი დაუდიოდათ ქიზიყელ მშრომელებს. სხვებისაგან განსხვავებით უწინ შეძლებულადაც ცხოვრობდნენ, რადგან ძროხისა და ფურკამეჩის ყადრი კარგად იცოდნენ. შემდეგში კი საკოლმეურნეო ფერმებში იმრავლა საქონელმა.

...და აი, ამ ველზე ათიოდე წლის წინათ შეიქმნა სიღნაღის რაიონის წნორის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაზრდელ-გასასუქებელი საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსი, სადაც ახლა 14.500 სული ძროხა, კამეჩი და მოზარდეულია. მარტო ენამთის მიდამოებში 3.500 მსხვილფეხა საქონელი სუქდება. ჩასაბარებლად გამზადებული პირუტყვის წონა აქ ჯერჯერობით 350 კილოგრამია, სულ მალე კი 400 კილოგრამზე ნაკლები არ იქნება. ენამთაში რეკონსტრუქციის შემდეგ, მწყობრში ჩადგა 16.665 ხბოსათვის გათვალისწინებული სასუქებელი მოედნის ახალი ხაზი, რეპროდუქტორი.

ალაზანზე წინათ მინდვრის ცოცხის მეტი არაფერი მოდიოდა და ზაფხულობით დაშრეული მიწა თეთრად იყო დამარილებული. მერე დიდძალი თანხა დაიხარჯა და 6.260 ჰექტარზე სამელიორაციო სამუშაოები შესრულდა. 2.340 ჰექტარზე ახლა კვლავ გრძელდება მიწის გაკულტურების სამუშაოები და მალე ისიც სიუხვის სამსახურში ჩადგება.

სიღნაღიდან რომ გადაიხედავთ, ამ გაგანია სიცხეში კომპლექსის უზარმაზარ ტერიტორიაზე 72 „ფრეგატის“ ტიპის სარწყავი დანადგარი მუშაობს, ირწყვება მიწა (მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახები, სიმინდის ნათესები) და მინდორი მწვანედ ხასხასებს. ერთი ჰექტარი გასარწყავებული მიწა 5 ტონა საკვებ ერთეულს იძლევა. საკვების შესახებ კარგად თქვა კომპლექსის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ლევან დოლმაზაშვილმა, რომელიც კარგა ხანია აქ დიდი დაკვირვებით და მონდომებით მუშაობს.

ლ. დოლმაზაშვილი: ჰექტარზე 5 ტონა საკვებს ვაწარმოებთ, 8.600 ჰექტარზე 43 ათას ტონა საკვებს მივიღებთ. თუ პირუტყვს 60 პროცენტ კონცენტრულ საკვებსაც მივცემთ, მაშინ გამოდის, რომ სულ 86 ათასი ტონა საკვები ერთეული გვექნება, რაც უზრუნველყოფს 8.500 ტონა ხორცის წარმოებას. მაგრამ თუ მეურნეობას 10.000 ტონა ხორცის წარმოების დავალება მიეცემა (და ეს რეალურია), მაშინ საჭირო იქნება სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებიდან ჩვენს კომპლექსს დამატებით გამოვუყოთ 3.000 ჰექტარი დამლაშებული სახნავები. ესეც უკვე მალე ასე იქნება. სამელიორაციო სამუშაოთა შესრულების შემდეგ ხუთწლედის ბოლოსათვის ამ ფართობზე დიდძალ საკვებს ვაწარმოებთ.

ახლად ათვისებულ მიწებზე „კუბანის“ ტიპის დასაწვიმებელი აგრეგატები უნდა გამოვიყენოთ; ეს დანადგარები ჩვენს პირობებში კარგია და ბევრ უარყოფით შედეგებს აგვაცილებს. „კუბანის“ ტიპის დასაწვიმებელი აგრეგატები სოფელ ვაქირის ბოლოზე ჩინებულად მუშაობენ. აქვე დავძენ, რომ გაერთიანება „ორწყამ“ „ფრეგატის“ ტიპის სარწყავების გამოყენების საქმე საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს. განსაკუთრებით მოსაგვარებელია მრწყველ ოპერატორების შრომის ანაზღაურების საკითხი. ამჟამად ოპერატორი რამდენ ჰექტარსაც მორწყავს, ხელფასს იმის მიხედვით იღებს. ასე რომ, მრწყველი ეცდება მეტი ფართობი მორწყას, რომ მეტი ანაზღაურება მიიღოს.

ამისათვის იგი რწყვის წესებს არღვევს, რაც მოსავლიანობაზე უარყოფითად მოქმედებს. „საქსოფლქიმიის“ მუშაკებმაც მეტი მონდომება და გულისხმიერება უნდა გამოიჩინონ საჭირო მინერალური სასუქებით მოსამარაგებლად. მათ საშუალება აქვთ გამოიყენონ ჩვენთან არსებული ორგანული სასუქიც, რომელიც „ვორონოვის“ ტიპის პირუტყვის გამოსაზრდელ მოედანთან უამრავია და სათანადო დანადგარებისა და ტრანსპორტის უქონლობის გამო ვერ გაგვიტანია.

ალაზანზე, სასუქ მოედნებზე 8.000 სული მოზარდეულია. აქვეა 2.500-ზე მეტი კამეჩის ფერმა. ეს დიდი სარეზერვო ფონდია. კამეჩებს კიდევ ამრავლებენ. გარდა ამისა წითელწყაროში „ვორონოვის“ ტიპის ხბორების გამოსაზრდელ მოედანზეც ბლომად არის მოზარდეული. 3.500 მსხვილფეხა საქონელი ენამთის სასუქებელ მოედანზე სუქდება. წელს მოკლე დროში კომპლექსმა 700 ტონა ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს. წლის ბოლოსათვის სახელმწიფოს საგეგმო 1.900 ტონის ნაცვლად 2.000 ტონა ხორცი მიეყიდება.

რ. ნაცვლიშვილი (სასუქებელი მოედნის გამგე): ენამთაში სასუქებელი მოედნის ხუთი ხაზი მზად არის. და მალე უფრო მეტ ხორცს ვაწარმოებთ. საჭიროა სასუქებელ მოედანს წყალი საჭირო რაოდენობით მივაწოდოთ. რეკონსტრუირებულ მოედანზე სამუშაო პირობები უკეთესი იქნება, მუშაობა კი სახალისო. როცა კაცი ხალისით მუშაობს, ნაშრომიც მეტი და მაღალხარისხოვანი გამოდის. ამით ქვეყანაც მადლიერი იქნება და ჩვენი მუშაკებიც კმაყოფილი.

ზ. ცისკარიშვილი (ფერმის განყოფილების გამგე): მოზარდი პირუტყვის მოვლა-პატრონობა რომ გაუმჯობესდეს, საჭიროა ჯანსაღი ხბორები მივიღოთ. ამას კი მაშინ მივაღწევთ, თუ ჩვენს კომპლექსში კვლავაც დახბოიანების კარგი პირობები იქნება. ამასთან კახეთის რაიონების კოლმეურნეობებმაც ჯანსაღი ხბორები უნდა გადმოგვცენ,

ლ. დოლმაზაშვილი: როგორც ვთქვი, ჩვენთან პირუტყვის გამოზრდისა და გასუქების კარგი პირობებია, მაგრამ მომავალში უკეთესი იქნება. წლეულს გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებიდან 8.910 მოზარდი უნდა მივიღოთ, გაისად — თერთმეტი ათასზე მეტი, ხუთწლედის მეოთხე წელს 11.550, ბოლო, მეხუთე წელს — 12.190 სული, 1986 წლისათვის კი 13.400 სული პირუტყვი უნდა გავასუქოთ. პერსპექტივა: 20.000 სული გასუქდება! ეს ჩვენ დიდი ამოცანების შესრულებას გვაკისრებს და ცხადია, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მინდობილ საქმეს.

გარდა ამისა, მოზარდეულის რიცხვმა რომ იმატოს, საჭიროა კახეთის რაიონებში ძროხების რაოდენობაც გადიდდეს. ჩვენი გამოანგარიშებით წელს წლის ბოლოს კახეთის შვიდ რაიონში 30 ათასზე მეტი ძროხა უნდა იყოს. აქედან ყველაზე მეტი სიღნაღის რაიონში (9.811 სული) იქნება. ამ რიცხვში შევა ის რაოდენობა (6.000 სული), რასაც ჩვენი კომპლექსის ძროხები მოიგებენ.

წნორის კომპლექსში სხვა რეზერვებიც არის, რომელთა გამოძებნა და ამოქმედება სულ მალე უნდა მოხდეს. აქ კახეთის ყველა რაიონიდან ოცდღიან ხბოს (10.000 სული) მიიღებენ და გამოზრდიან. კომპლექსის ხელმძღვანელობას განსაკუთრებით აღელვებს წითელწყაროს „ვორონოვის“ ტიპის ხბორების გამოსაზრდელი მოედნის დღევანდელი მდგომარეობა. აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი: არ მუშაობს საკვებდამრიგებელი ავტომატური ხაზები, რძის გასათბობი და მიმწოდებელი მოწყობილობა. ისინი ხელახლა უნდა დამონტაჟდეს. სასუქებელ მოედანზე ყველა სახის საკვების დარიგება ხელით ხდება, რაც აძნელებს შრომასა და, ცხადია, დანახარჯებიც მეტი იქნება. განსაკუთრებით მოსაწესრიგებელია მოედნიდან ჰიდროჩარეცხვის შედეგად წარმოქმნილი წუნწუხის ფრაქციებად დაყოფის, შემდეგ სასუქად გამოყენებისა და ნაწრეტი წყლის გადატუმბვის საქმე. ამას ის ართულებს, რომ სანაკელეებში ყველა დანადგარი წუნწუხშია მოქცეული. მისი გატანა კი არ ხერხდება და ირგვლივ ანტისანიტარიაა. ამ საქმეს კომპლექსი ვერ მოაგვარებს, თუ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და „საქსახსოფლტექნიკა“ არ ჩაერია. სწორედ მათმა სპეციალურმა სამმართველოებმა უნდა ითავონ სარეკონსტრუქციო სამუშაოთა შესრულება.

მეცხოველეობის დიდი კომპლექსი თანდათან მხრებს შლის ალაზნის ველზე. მრავლდება ძროხები, კამეჩები, სუქდება ათასობით სული პირუტყვი, რომ უახლოეს მომავალში დიდძალი ხორცი აწარმოონ და საპატიო წვლილი შეიტანონ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ორიოდე თბილი სიტყვა უნდა ითქვას მეკამეჩეობის განვითარების შესახებ. ათადან-ბაბადან ალაზანზე მეკამეჩეობით ბევრი მშრომელი კაცი იწონებდა თავს. კამეჩი ხომ დიდძალ ხორცსა და ცხიმიან რძეს იძლევა. და რაოდენ სასიხარულოა, რომ წნორის კომპლექსის ხელმძღვანელობამ ამ საქმესაც თავი დაადგა, 2.500 სულზე მეტი კამეჩი ჰყავთ ფერმაში. ამბობენ, ახლო მომავალში შეიძლება გაორმაგდეს ეს ციფრიო.

ალაზნის ველზე მეცხოველეობის კომპლექსი, რომ იტყვიან, მართლაც ფრთებს შლის. დამლაშებული მიწები თანდათან სიუხვის სამსახურში დგება. ვაქირისა და წნორის ბოლოზე ნათესი ბალახის მოვლა-მოყვანა მთლიანად მექანიზებულია. კაცის ხელი არ ეხება არც მიწას და არც მცენარეს. ხვნა, თესვა, რწყვა, თიბვა, საკვების დაქუცმაცება და პირუტყვისათვის დარიგება მთლიანად მანქანებით ხდება.

ალაზნის ველზე ამ ბოლო წლებში გაჩნდა პატარ-პატარა დასახლებები: არის სამელიორაციო უბანი, საკვებმომპოვებელთა ბრიგადები, მექანიზაციის უბანი, ხბორების გამოსაზრდელები და, რაც მთავარია, ენამთაში პირუტყვის გასასუქებელი დიდი მოედანი, სადაც უამრავი საქონელი სუქდება. ამბობენ, აქ დღეღამეში თითო ძროხა ნახევარ კილოგრამზე მეტს მატულობსო. ენამთაში პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და გასუქების კარგი ოსტატის სახელი მოიპოვეს გ. ქშუტაშვილმა და ნ. ნადირაშვილმა. ე. ლოლაშვილი უნარიანად ხელმძღვანელობს ბრიგადას. წინათ ფერმის ინჟინერს სად ნახავდით?! ახლა კი ამ მოედანს თავისი ინჟინერი ჰყავს, რომელიც ურთულესი მანქანების გამართულ მუშაობას ყოველდღე გულმოდგინედ მეთვალყურეობს. ეს გახლავთ ახალგაზრდა სპეციალისტი ვ. ჯოხაძე. პირუტყვის გასუქებასა და მოვლა-პატრონობას ხელმძღვანელობს მთავარი ზოოტექნიკოსი ჯ. ჯავახიშვილი. ინსტიტუტში მიღებულ ცოდნას იგი პრაქტიკაში ჩინებულად იყენებს.

რეპროდუქტორის მეორე ფერმა კომპლექსში მოწინავეა. აქ თავი ისახელა ბრიგადირმა თ. ნარინდოშვილმა. იგი ხბორებს ზოოვეტწესების შესაბამისად უვლის და წარმატებასაც აღწევს.

მეკამეჩეობის მეოთხე ფერმა, რომელსაც გ. სიხაშვილი ხელმძღვანელობს, კომპლექსში მოწინავეა, 2.500 სული კამეჩი ჰყავთ. აქედან დაახლოებით 600 ზაქია. ზაქების მოვლა-პატრონობა რთული საქმეა, მაგრამ აქაურ მეკამეჩეებს ეს არ უჭირთ, რადგან საზოგადოებრივ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

ძროხებს ერთგულად უვლიან მეცხოველეები, ერთმანეთს უზიარებენ შრომაში მოპოვებულ წარმატებათა საიდუმლოებას, ეძებენ ახალ რეზერვებს. დღენიადაგ იმისათვის იღვწიან, რომ ალაზნის ველზე სულ უფრო იმრავლოს ძროხამ, კამეჩმა, მხარი გაშალოს დიდმა კომპლექსმა, რომ ჩვენს მშრომელებს მეცხოველეობის მეტი პროდუქტები ჰქონდეთ.

ვ. გოზალიშვილი.

განვახორციელოთ სასურსათო პროგრამა!

სურათებზე: ზემოთ — წნორის კომპლექსის ენამთის პირუტყვის სასუქებელ მოედანზე საქონლის მოვლა-პატრონობის შესახებ საუბრობენ მომვლელი გ. ქშუტაშვილი, მთავარი ზოოტექნიკოსი ჯ. ჯავახიშვილი, მწყემს-ოპერატორი ნ. ნადირაშვილი, სასუქებელი მოედნის ინჟინერი ვ. ჯოხაძე და ბრიგადირი ე. ლოლაშვილი; ქვემოთ — ენამთის სასუქებელი მოედნის ხედი; კამეჩები მდინარე ალაზანში; სარწყავი დანადგარი „კუბანი“ ნათესებს რწყავს სოფელ ვაქირის ბოლოზე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

სიახლე ბაზარსაც სჭირდება

ვაჭრობ
მომხმარებელ

საკოლმეურნეო ბაზრები დიდ როლს ასრულებენ მშრომელთა სურსათით მომარაგებაში. მაგალითად, ქუთაისში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სისტემატურად მიმართავს საკოლმეურნეო ბაზრებს. მარტო შარშან ბაზრების მეშვეობით მათ მიეყიდათ 3.228 ცენტნერი ხორბალი და სიმინდი, 18 ათასი ცენტნერი კარტოფილი, 1.871 ცენტნერი ხახვი, 3.895 ცენტნერი ახალი კიტრი, 14.387 ცენტნერი პამიდორი და სხვ. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი მონაცემებით, ქუთაისში საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში საკოლმეურნეო ვაჭრობის წილი 18 პროცენტს, ხოლო სასურსათო საქონლის გაყიდვის საერთო მოცულობაში — 36 პროცენტს შეადგენს.

ამჟამად საკოლმეურნეო ბაზრებში წესრიგის განმტკიცების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრშია. ამ საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

რა სიახლეები შეინიშნება ამ მხრივ საკოლმეურნეო ბაზრებში?

ბოლო ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მითითებით დეპუტატების, სახალხო რაზმელებისა და აქტივის, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მუშაკთა მონაწილეობით კვირაში ორჯერ ეწყობა რეიდები, რომელთა მიზანია ბაზრის მუშაკთა ოპერატიული მონაცემების მიხედვით გამოავლინონ სპეკულაციის ფაქტები და კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელონ მათს აღმოსაფხვრელად. სწორედ ასეთი რეიდების შედეგად ბაზრიდად განიდევნა 21 კაცი, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ პროდუქტების ყიდვა-გაყიდვაში, ხოლო რამდენიმე მათგანზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. აი ერთ-ერთი მათგანი: ამას წინათ საკოლმეურნეო ბაზრების დირექციის თხოვნით ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ საჩვენებელი პროცესი მოაწყო თვით ბაზარში, გასამართლდა ნიგვზის გადამყიდველი ო. ბანძელაძე; სასამართლო პროცესი გადაიცემოდა ბაზრის ადგილობრივი რადიოკვანძით.

საკოლმეურნეო ბაზრების დირექცია დაუკავშირდა მეზობელი რაიონების ხელმძღვანელ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს. შინაგან საქმეთა განყოფილებისა და სახალხო კონტროლის მუშაკებთან ერთად ხშირად ამოწმებენ ცალკეულ მოქალაქეთა საკარმიდამო ნაკვეთებს, რამდენად სწორად აწყობენ ისინი ზედმეტი პროდუქტების რეალიზაციას. მოქალაქეთა საქმეებს, რო ლებიც ეჭვმიტანილი არი სპეკულაციასა და ქონებრ ბაში, აცნობებენ ხელმძღვან ორგანოებს მათი საცხოვრებ ლი ადგილის მიხედვით. სწ რედ ასეთი გზით საქმეებ აღიკვეთა ფალსიფიცირებულ ჩურჩხელისა და თაფლის გ ყიდვა, მტკიცე კონტრო დაწესდა პროდუქტების ყიდ გაყიდვისადმი. ყოველივე ხელს შეუწყობს პროფილაქტ კურ საქმიანობას. ბოლო ხ ნებში სპეკულაციის ბევრ ფაქტი აღიკვეთა, ის პირებ კი, რომლებიც ცდილობდ იოლი გზით ხელი მოეთბ საზოგადოებრივად სასარგებ შრომის ფერხულში ჩაე საკმარისია დავასახელოთ მალ ქორქოლიანი წყალტუბო ზონის სოფელ მაღლაკიდ წინათ მას ხშირად შეხვდებო დით ქუთაისის საკოლმეურნ ბაზრებზე. ახლა კი აქტიურ მუშაობს საბჭოთა მეურნეობა ში.

სპეკულაციის წინააღმდე ბრძოლა თანდათან უფრო შ ტევი და ქმედითი ხდება. მაგ ლითად, შინაგან საქმეთა ორ განოებთან კავშირით აღიძ სისხლის სამართლის საქმე ლო რების სპეკულანტების შ. ნ. ქორქოლიანების მიმართ. ისი ნი წყალტუბოს ზონის სოფე მაღლაკისა და წულუკიძის ბ ზარზე სისტემატურად ყიდუ ლობდნენ ღორებს და მერ ქუთაისის საკოლმეურნეო ბა რებში ჰყიდდნენ. სპეკულაცია მხილებული არიან აგრეთვ სოფელ უკანეთში მცხოვრებ ვ. რუხაძე, რომელიც ხახვ ყიდვა-გაყიდვას ეწეოდა, აგ რეთვე ქარელის რაიონის სო ფელ რუისში მცხოვრები ქიტესაშვილი, თიანეთში მცხ ვრები ნ. აბრამიშვილი და სხ

ყოველივე ეს კარგია, მაგრა სამწუხარო ის არის, რომ საკ ლმეურნეო ბაზრებში ჯერ კ დევ მთლიანად აღკვეთილი ა არის სპეკულაციის ფაქტებ რასაც ნაწილობრივ ისიც უწ ყობს ხელს, რომ კოოპერაც ბისა და საზოგადოებრივი კვ ბის ობიექტების წარმომადგე ლები ბაზრებში ყიდულობ დიდძალ სოფლის მეურნეობ პროდუქტებს. განა ეს იგივ ყიდვა-გაყიდვა, სპეკულაცი არ არის? ამასთან ერთა მთლიანად როდია აღმოფხვრ ლი ხალხმრავალი ქორწილებ სა და ქელეხებისათვის დიდძ ლი პროდუქტების შეძენის ფ ქტები. ჩვენი აზრით, უნ შემუშავდეს დებულება, რომ ლიც წინააღუდგება ასეთ მო ვლენებს. მით უმეტეს, რომ ა დღეებში ქუთაისში გამართუ საკოლმეურნეო ბაზრების მ შაკთა ზონალურ თათბირ-სემ ნარზეც დაისვა ეს საკითხი.

თათბირ-სემინარმა ყოვე მხრივ და ფართოდ განიხი საკოლმეურნეო ბაზრებში სპ კულაციის წინააღმდეგ ბრძ ლის გააქტიურების პრობლ მები.

დ. გედენიძ
„კომუნისტის“ საკ. კ

იდეური წრთობის ძალა

ასეთი სათაურით გამოვიდა ჟურნალ — „პარტიული სიტყვის“ ბიბლიოთეკის პირველი ნომერი. მასში თქვენ გაეცნობით წერილებს: შ. კაკულიას — საბჭოთა ადამიანის პოლიტ კულტურა; ტ. ლაბარტყავას მტრულს, ნეგატიურს — ბრძოლ ა. რეხვიაშვილის — პატრიოტ ლი და ინტერნაციონალური ზრდის სიკეთე.

დამთავრდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის გამოცემა

გმირული ისტორიის მატიანე

ქართული საბჭოთა მეცნიერება, ქართული ისტორიოგრაფია ღირსშესანიშნავი ნობათით ეგებება საბჭოთა კავშირის შექმნის სახელოვან მე-60 წლისთავს. გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეული, რომელიც გამოჩენილი მეცნიერების ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილისა და მათი მოწაფეების ფუნდამენტურ გამოკვლევებს ეყრდნობა და ქართული საისტორიო მეცნიერების ხანგრძლივი, ნაყოფიერი კვლევა-ძიების მნიშვნელოვან შედეგებს აჯამებს, მრავალტომეულის შექმნაში მონაწილეობდა ავტორთა დიდი ჯგუფი. ტომების რედაქტორებსა და ძირითად ავტორებს 1982 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით დაგვირგვინება მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ცნობილმა დადგენილებამ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული ქართული საბჭოთა საისტორიო მეცნიერების ძირითადი მიმართულებანი, დასახულია მეცნიერულ გამოკვლევათა შემდგომი სრულყოფის მათი ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ღრმა და ყოველმხრივ გამოყენების, საზოგადოებრივი პროცესებისა და მოვლენების კლასობრივი პოზიციებიდან გააზრებისა და მათდამი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომის გზები და ამოცანები.

რვატომეულის პირველი ტომი იწყება ქართული ისტორიოგრაფიის მოკლე ექსკურსით და უძველესი ხანიდან ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნემდე პერიოდს მოიცავს. ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური სამუშაოების წყალობით დადგინდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანთა საზოგადოება ჩამოყალიბდა მეოთხეული ხანის დასაწყისიდან. არქეოლოგიური მასალების ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე ნაჩვენებია ცივილიზაციის ყველა საფეხური ქვის ხანიდან (პალეოლითი და ნეოლითი) დაწყებული ვიდრე ადრე შუა საუკუნეებამდე. კარგად არის დახასიათებული ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხური — ენეოლითური კულტურა, რომელიც სულ ბოლო დროს გამოჩნდა საქართველოში და მის მეზობელ მხარეებში. დიდი ადგილი ეთმობა ადრებრინჯაოს ხანის ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლას და მის მნიშვნელობას საქართველოს, კავკასიის და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს ისტორიაში. შუაბრინჯაოს ხანის განხილვისას ნაჩვენებია საზოგადოების განვითარების შესაბამისი დონე, ხოლო გვიან ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის დახასიათებისას ჯეროვნად წარმოჩენილია როგორც დასავლურ-ქართული, ისე აღმოსავლურ-ქართული კულტურა.

აქ ვრცლად და საფუძვლიანად განხილულია ქართველთა წარმომავლობის და საქართველოს მოსახლეობის უძველეს გაერთიანებათა წარმოქმნის საკითხი. დიდი ადგილი ეთმობა ძველი ქართული სამეფოების — კოლხეთისა და იბერიის სამეფოების წარმოქმნისა და განვითარების ისტორიას, მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების საკითხებს.

ამრიგად, „ნარკვევების“ პირველ ტომში წარმოჩენილია საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და კულტურის სურათი უძველესი ხანიდან, ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნემდე.

მეორე, მესამე და მეოთხე ტომები ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიას ასახავს. ფეოდალიზმის ხანა ქართველი ხალხის ისტორიაში მოიცავს თითქმის თექვსმეტ საუკუნოვან პერიოდს. ეს არის საქართველოს ისტორიული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ეტაპი, რომელიც მთელი რიგი ნიშანდობლივი თვისებებით ხასიათდება. ამ პერიოდის შესწავლა საინტერესოა და მნიშვნელოვანი არა მარტო ქართული ისტორიოგრაფიისათვის, არამედ ზოგადისტორიული პროცესების კვლევისთვისაც.

„ნარკვევების“ მეორე ტომი საქართველოს ადრეფეოდალურ ხანას ეძღვნება. აქ შესწავლილია ფეოდალიზმის გენეზისის და მისი განვითარების ადრეული ეტაპი საქართველოში, ფეოდალური საზოგადოებრივი ფენებისა და კლასების წარმოქმნა, ფეოდალური ეკონომიკის განვითარება და ადგილობრივი პირობების შესაბამისად მეურნეობის ინტენსიური და მრავალსახოვანი დარგების ჩამოყალიბება და ევოლუცია, ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარება ახალი ფორმაციის პირობებში, საშინაო და საგარეოპოლიტიკური ვითარების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე და სხვა.

„ნარკვევებში“ მიღებული პერიოდიზაციით ადრეფეოდალური ხანა IV-X საუკუნეებს მოიცავს. ეს არის ხანა, როდესაც ხდება ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-გავრცელება, გამარჯვება და განმტკიცება. შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს თან სდევდა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, როგორიც იყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, მეფობის გაუქმება და დიდაზნაურთა ძალაუფლების განმტკიცება, ერისმთავრის ხელისუფლების წარმოქმნა, ახალი ფეოდალური ერთეულების, სამეფო-სამთავროების წარმოქმნა და მათი ბრძოლა საქართველოში პირველობისათვის, საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნისათვის ნიადაგის შემზადება.

IX-X საუკუნეები პოლიტიკურად ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების არსებობის ხანაა, როდესაც წარმოებს ბრძოლა მათ შორის ჰეგემონობისათვის. ეს პროცესი ობიექტურად იწვევს საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნას. ნაშრომში მოცემულია ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის პირობების დახასიათება და განხილულია ქართული კულტურისა და ყოფის განვითარება VI-X საუკუნეებში.

მესამე ტომში გადმოცემულია პერიოდი X საუკუნის ბოლოდან ვიდრე XVI საუკუნის დასაწყისამდე. ეს არის ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანა, როდესაც საქართველომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ ეს არის განვითარებული ფეოდალიზმის ხანა, როდესაც საზოგადოება ორ ძირითად ანტაგონისტურ კლასად ფეოდალებად და ყმა გლეხებად არის გათიშული, როდესაც თანდათანობით მრავლდებიან ქალაქები და შესაბამისად ძლიერდება მოქალაქეთა ფენაც, როდესაც ქვეყანა უკვე მიადგა წინაბურჟუაზიული გარდაქმნების ეტაპს, ჩამოყალიბდა ძლიერი ცენტრალიზებული მონარქია — თვითმპყრობელობა სათანადო იდეოლოგიით, საშინაო და საგარეო პოლიტიკით, მაგრამ რეაქციულ-კონსერვატიული ძალები ჯერ კიდევ ძლიერი იყვნენ და გააფთრებით ებღაუჭებოდნენ თავიანთ პრივილეგიებსა და გავლენას ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. „ნარკვევების“ მესამე ტომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი შესასწავლი ეპოქის ქართული და უცხოური წყაროების დახასიათებას.

„ნარკვევების“ მეოთხე ტომში შესწავლილი ეპოქა უაღრესად რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდება, აქ წარმოდგენილია XVI-XIX საუკუნეების 30-იანი წლების საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესის თანმიმდევრული სურათი.

მეხუთე ტომში გაშუქებულია საქართველოს ისტორია XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან 1900-იან წლებამდე. „ნარკვევების“ ავტორები დაეყრდნენ ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვარს, გამოიკვლიეს მანამდე შეუსწავლელი საკითხები და პირველად გააშუქეს საქართველოს ახალი ისტორია ვრცლად, მაღალ მეცნიერულ დონეზე, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის თვალთახედვით. მეხუთე ტომი არა მარტო ასახავს მეცნიერების მიერ საქართველოს ახალი ისტორიის კვლევაში დღემდე მოპოვებულ წარმატებებს, არამედ მას მნიშვნელოვანი სიახლენიც შეაქვს მეცნიერებაში და საფუძველს ქმნის საქართველოს ახალი ისტორიის შემდგომი გაღრმავებული შესწავლისათვის.

მეექვსე ტომში საფუძვლიანად არის გაანალიზებული საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში, დახასიათებულია ის პროცესები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში, რომლებმაც არსებითად მოამზადეს ნიადაგი რევოლუციური გადატრიალებისათვის. ტომში დაწვრილებით არის გაშუქებული მასობრივ-პოლიტიკური მოძრაობანი, 1905-1907 წლების რევოლუციის მიმდინარეობა საქართველოში, რეაქციისა და ახალი რევოლუციური აღმავლობის ხანა, იმპერიალისტური ომის პერიოდი, თებერვლის რევოლუცია, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის, მენშევიკების ბატონობა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

„ნარკვევების“ მეშვიდე ტომში გადმოცემულია საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა და ნაჩვენებია მისი ეტაპობრივად განხორციელების პროცესი. ყურადღება ექცევა იმ თავისებურებებს, რომლებითაც ხასიათდებოდა სოციალიზმის მშენებლობა საქართველოში, ხაზგასმულია ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება, განსაკუთრებული ზრუნვა ეროვნული მეურნეობისა და კულტურის დაჩქარებულ განვითარებაზე. წიგნში კარგად არის ნაჩვენები საქართველოს გადაქცევა ომამდელი ხუთწლედების მანძილზე აგრარული ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ, მძლავრი სოციალისტური კულტურით.

ბოლო მერვე ტომი მოიცავს 1941-1975 წლებს. მასში შესწავლილია საკითხთა ფართო წრე, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორიც არის საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, ომისშემდგომი, აღდგენის, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წლებში.

დასახელებულ ტომში მრავლად არის ისეთი მასალა და დოკუმენტი, რომლებიც მეცნიერულად პირველად დამუშავდა, ამასთან რიგი საკითხები ორიგინალურად და ახლებურად არის გაშუქებული.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარების ისტორიაში. „ნარკვევები“ პირველი ვრცელი, განმაზოგადებელი და ყოვლისმომცველი ნაშრომია, რომელიც წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. „ნარკვევების“ დიდი ღირსება ის არის, რომ იგი დაფუძნებულია საქართველოს ისტორიის პირველ წყაროებზე და საბჭოთა საისტორიო მეცნიერების უახლეს მიღწევებზე. „ნარკვევებში“ აისახა ქართული კულტურისა და ისტორიის ყველა დარგი. ნაშრომში ჩვენი ქვეყნის ისტორია გადმოცემულია მეზობელ ხალხთა და მსოფლიო ისტორიის ფართო ფონზე. აქ მთელი სისრულით არის წარმოდგენილი ახალი და უახლესი ისტორია, რომლისადმი მიძღვნილია რვატომეულის ნახევარზე მეტი (მეხუთე-მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტომები), ამასთან ღრმად და ყოვლისმომცველად დამუშავებულია საბჭოთა პერიოდის ისტორია.

რვატომეულის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამჟამად მზადდება ამ ფუნდამენტური ნაშრომის რუსული თარგმანი, რომლის მეშვეობით ჩვენი სამშობლოს ისტორიას გაეცნობა მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი და მსოფლიოს სხვა ხალხებიც.

რა თქმა უნდა, რვატომეულის ცალკეულ ტომებში არის სიზუსტეს მოკლებული და სადავო მოსაზრებანიც, შეიმჩნევა ხარვეზები, ცალკეული ისტორიული ეპოქები გაშუქებულია მეტ-ნაკლები სისრულით, ხოლო ზოგან მოყვანილია ზედმეტი მასალაც, ზოგან გვხვდება განმეორებანი და ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობაც, მასალის გადმოცემის სტილიც ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ ავტორთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის ასეთ ფუნდამენტურ ნაშრომში მსგავსი ხარვეზების თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის ავტორთა მრავალი წლის უზარმაზარი გარჯისა და რუდუნების შედეგად დღეს ხელთ გვაქვს უაღრესად საჭირო ნაშრომი ჩვენი ქვეყნისა და სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციისა და კულტურის ისტორიის შესახებ.

ი. დოლიძე.

ეს სტატია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, აწ განსვენებულმა ისიდორე დოლიძემ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გადმოსცა რედაქციას.

ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს

ვისი გაზეთია უკეთესი?

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა აწყობენ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების დათვალიერებას. დათვალიერება-კონკურსის მიზანია გააქტიუროს გაზეთების მუშაობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მოსამზადებლად, საბჭოთა პროფკავშირების XVII ყრილობისა და საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და განხორციელებისათვის.

დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამრეწველო საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლების მრავალტირაჟიან და კედლის გაზეთებს.

პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე ადგილებზე მოეწყობა მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების საუკეთესო ნომრების გამოფენები, ხოლო პირველი ოქტომბრიდან პირველ ნოემბრამდე — დათვალიერება დარგობრივი პრინციპით. დასკვნითი, რესპუბლიკური ტური გაიმართება 1-დან 30 დეკემბრამდე საქართველოს პროფსაბჭოს პროფკავშირთა კულტურის სასახლეში.

დათვალიერება-კონკურსის შედეგების შეჯამებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ისეთი საკითხების გაშუქებას, რომლებიც ეძღვნება ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს იუბილეს, საბჭოთა პროფკავშირების XVII ყრილობისა და საქართველოს პროფკავშირების XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდასა და პრაქტიკულ რეალიზაციას, დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, აგრეთვე გამოქვეყნებული მასალების ჟანრობრივ მრავალფეროვნებას, ოპერატიულობასა და აქტუალობას. ჟიური აგრეთვე შეაფასებს გამოცემათა ლიტერატურულ, სტილისტურ და ტექნიკურ მხარეს.

კონკურსის შედეგები მიმდინარე წლის 30 დეკემბერს გამოცხადდება. გამარჯვებული გაზეთები დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით. (საქინფორმი).

სამშვიდობო ინიციატივებს — ერთსულოვანი მხარდაჭერა

ჰანოი. აქ გამართა საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის, ვიეტნამის, ლაოსისა და კამპუჩიის საზოგადოებათა დელეგაციების შეხვედრა. შეხვედრაზე ერთხსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ XXVI ყრილობის მიერ წამოყენებულ 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამას, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სამშვიდობო ინიციატივებს, ახლახან სსრ კავშირის მიერ ცალმხრივი წესით ნაკისრ ვალდებულებას — პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი.

შეხვედრის მონაწილეებმა, ნათქვამია მიღებულ კომუნიკეში, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ძმური სოციალისტური ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება და დღეს მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მეგობრობის საზოგადოებათა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ახლანდელი საერთაშორისო ვითარების გამწვავების პირობებში, რაც გამოწვეულია იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების მოქმედებით, არის საზოგადოებრიობის უფართოესი ფენების დარაზმვა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. იმპერიალისტების მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ საბრძოლველად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდასაჭერად.

დოკუმენტში გადაჭრითაა დაგმობილი ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით ხდება. შეხვედრის მონაწილეებმა იგი დაგმეს და უწოდეს შეუნიღბავი გენოციდი პალესტინელი, ლიბანელი და სხვა არაბი ხალხების მიმართ და მოითხოვეს მისი დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ისრაელის ჯარების უპირობო გაყვანა ლიბანის ტერიტორიიდან.

მათ მთლიანად მხარი დაუჭირეს წინადადებებს, რომლებიც წამოყენებული იყო ინდოჩინეთის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ახლახან ხოშიმინში გამართულ კონფერენციაზე. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მეცადინეობა, რომლის მიზანია მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აგრეთვე ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, აღნიშნულია კომუნიკეში, მკაფიოდ მოწმობს მათს კეთილ ნებასა და თანამიმდევრულ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას. კომუნიკეში აგრეთვე დაგმობილია რეაქციონერების მიერ ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული კამპუჩიის კოალიციური მთავრობის“ შექმნა როგორც მანევრი, რომელიც ითვალისწინებს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევას.

● აშშ

კ. უაინბერგერის განცხადება

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დაგეგმვის ყველა ჯგუფს მიეცა მითითება ემზადონ ხანგრძლივი ბირთვული ომისათვის, განაცხადა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ამ მითითების შესაბამისად ამჟამად ეწყობა ამერიკის შეიარაღებული ძალების მანევრები.

მინისტრმა კვლავ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება მიაღწიოს სტრატეგიულ უპირატესობას საბჭოთა კავშირის მიმართ.

როგორც მან თქვა, ეს პოლიტიკა ხორციელდება ამერიკის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული პოტენციალის განვითარების ხუთწლიანი პროგრამის ფარგლებში.

● საფრანგეთი

მორიგი ტერორისტული აქტი

პარიზი. ახალი ტერორისტული აქტი ჩაიდინეს საფრანგეთის დედაქალაქში. დიდი სიმძლავრის მუხტი აფეთქეს ერთ-ერთ სახლში ბომის ქუჩაზე ელისეს მინდვრების ახლოს. მძიმედ დაიჭრა იქვე მიმავალი 50 წლის ქალი. შენობა სერიოზულად დაზიანდა. პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის თავს იდო „აქსიონ დირექტის“ ტერორისტულმა ორგანიზაციამ.

ეს უკვე მეორე ტერორისტული აქტია, რომელიც პარიზში ბოლო ხანს მოხდა. ორი დღის წინათ უცნობმა პირებმა ცეცხლი დაუშინეს რესტორანს როზიეს ქუჩაზე, რის შედეგადაც 6 კაცი მოკვდა და 22 დაიჭრა.

ირან-ერაყის ფრონტზე

ბაღდადი. გრძელდება საბრძოლო მოქმედება ერაყ-ირანის საზღვრის რაიონში. როგორც ნათქვამია ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის მორიგ კომუნიკეში, ხორ-მუსის ყურეში მოსპეს ირანის ორი სამხედრო ხომალდი. ერაყის ჯარებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის სამი ტანკი. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ირანის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ბასრის საცხოვრებელ რაიონებს.

თეირანი. 9 აგვისტოს, ნათქვამია ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბისა და „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსის ცენტრალური შტაბის აქ გავრცელებულ ცნობაში, ირანის ჯარებმა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა მოიგერიეს ერაყელთა შეტევა და მიაყენეს მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი. ერაყის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ირანის ქალაქ აბადანს და 12 საცხოვრებელი სახლი დაანგრია.

შრომა და კაპიტალი

ესპანეთი

ორი მილიონი „ზედმეტი ადამიანი“

„ზედმეტ ადამიანთა“ არმია ყოველდღე ათასი კაცით იზრდება“ — წერს ესპანური ჟურნალი „კამბიო-16“. სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის წინასწარი მონაცემებით, უმუშევართა რიცხვმა ამ ქვეყნის ისტორიაში პირველად გადააჭარბა 2 მილიონს. მარტო ამა წლის პირველ კვარტალში იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც სამუშაო ვერ უშოვიათ, ასი ათასით გაიზარდა. განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაში არიან ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც ქვეყანაში აღრიცხულ „ზედმეტ ადამიანთა“ ნახევარზე მეტს შეადგენენ.

ესპანეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა, პროფკავშირები და მუშათა კომიტეტები მოითხოვენ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები დასაქმების დონის ასამაღლებლად, უმუშევრობის აღმოსაფხვრელად.

სურათზე: უმუშევრობის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციის მონაწილენი მადრიდის ქუჩებში.

საკდესის ფოტო.

ვითარება ლიბანში

შეწყდეს აგრესია!

ისრაელმა აგრესორებმა კვლავ გააფთრებით დაბომბეს დასავლეთი ბეირუთი. მათ დაბომბეს პალესტინელ ლტოლვილთა ბურჯ-ალ-ბარაჟნის და შატილის ბანაკები, აგრეთვე ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტის ჩრდილოეთით მდებარე რაიონი. ამავე დროს ინტერვენტების არტილერია ცეცხლს უშენდა პალესტინელთა პოზიციებს ქალაქში. მარტო 9 აგვისტოს ისრაელის ავიაცია ოცდათორმეტჯერ დაესხა თავს ქალაქის უბნებს საერთაშორისო აეროპორტის, სპორტული ქალაქის, კუვეიტის საელჩოსა და პალესტინელ ლტოლვილთა საბრის, შატილის, ბურჯ-ალ-ბარაჟნის, ბირ-ჰასანის ბანაკების რაიონში. თელ-ავივის სამხედრო ხომალდები მთელი დღის მანძილზე განუწყვეტლივ უშენდნენ ცეცხლს ზღვისპირა უბნებს უზაიდან რამლეთ ალ-ბეიდამდე. სულ ჰაერიდან, ხმელეთიდან და ზღვიდან აგრესორმა ცეცხლი დაუშინა ქალაქის 22 უბანს. ბევრი სახლი დაინგრა ან ალმოდებულია, არიან დახოცილები და დაჭრილები, რომელთა რიცხვი ჯერ არ დაუდგენიათ.

ამასობაში გრძელდება ლიბანის მთავრობისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მოლაპარაკება ვაშინგტონის ემისარ ჰაბიბთან დასავლეთ ბეირუთიდან პალესტინის შეიარაღებული ძალების ევაკუაციის თაობაზე. ლიბანის ტელევიზიის ცნობით, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარეს ი. არაფატს გადასცეს 15 დღის განმავლობაში ბეირუთიდან პალესტინის განთავისუფლების ძალების გაყვანის ჰაბიბის მიერ შემუშავებული გეგმა. პალესტინის ხელმძღვანელობა ლიბანის მთავრობის შუამავლობით ჰაბიბთან დამყარებული კონტაქტების დროს, როგორც იუწყებიან, გამოხატავს მზადყოფნას გამონახოს გზები, რათა გადაიჭრას პრობლემა, კერძოდ, საკითხი, რომ სახმელეთო და ზღვის გზით გაიყვანონ პალესტინის შეიარაღებული ძალების ნაწილი არაბეთის სხვა ქვეყნებში, რომელთა შორის ასახელებენ ეგვიპტეს, სირიას, ერაყსა და იორდანიას.

მაგრამ თელ-ავივი კვლავ ხელს უშლის დასავლეთ ბეირუთის პრობლემის გადაწყვეტას ჰაბიბის მიერ შემოთავაზებული ფორმითაც კი და საქმეს წარმართავს ისე, რომ მიაღწიოს პალესტინელთა კაპიტულაციასა და დაამყაროს ლიბანში თავისი მორჩილი მარიონეტული მთავრობა. ამას, კერძოდ, მოწმობს ბოლოდროინდელი ავიაციის თავდასხმები და ბეირუთისათვის ცეცხლის დაშენა. გაზეთ „მონდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ი. არაფატმა „არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ ბეგინმა და შარონმა შეიძლება გამოიყენონ ახლანდელი სიტუაცია პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მოსასპობად“.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ჰაბიბის მიერ შემოთავაზებულ გეგმაში შეტანილი არ არის მთავარი საკითხი — ლიბანიდან ისრაელი აგრესორების გაყვანის საკითხი. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ შეერთებული შტატები ადგას ინტერვენციის წაქეზების პოლიტიკას, აპირებს შეიყვანონ ლიბანის ტერიტორიაზე საკუთარი შეიარაღებული ძალები ეგრეთ წოდებული „მრავალეროვანი ძალების“ სახით. ამით ვლინდება ვაშინგტონის ფარისევლობა, რომელიც კონფლიქტის მოწესრიგებით კი არ არის დაინტერესებული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ახორციელებს თავის ვრცელ იმპერიულ მიზნებს ახლო აღმოსავლეთში.

საფრანგეთის გაზეთ „ფიგაროსათვის“ მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რეიგანი ყოველმხრივ ამართლებდა ლიბანში ისრაელი აგრესორების მიერ გაჩაღებულ სისხლისღვრას. ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ იგი ამტკიცებდა, რომ ისრაელის აგრესიული აქციები, რომელთა მსხვერპლი, როგორც ცნობილია, დასავლეთ ბეირუთის ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები გახდა, „თავდაცვითი ხასიათისაა“ და თითქოს ისინი განეხორციელებინოთ ლიბანის ტერიტორიიდან ისრაელისათვის ცეცხლის დაშენის პასუხად.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი არსებითად ამართლებდა ისრაელისათვის ამერიკული იარაღის მიწოდებას, რომელსაც, მისი თქმით, ისრაელები „თავდაცვის მიზნით“ იყენებენ.

ახლა თეთრი სახლი ემზადება გაუგზავნოს ისრაელ აგრესორებს, იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის მონაცემებით, მილიარდ-ნახევარი დოლარის სხვადასხვა შეიარაღება და ტყვია-წამალი.

„ნიანგი“ ბულგარული ჟურნალის სტუმარია

ბულგარეთის სატირულ იუმორისტულმა ჟურნალმა „სტირშელმა“, რაც მწვავეენესტარიან ბზიკს ნიშნავს, ივნისის ერთ-ერთი ნომერი დაუთმო ქართულ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს „ნიანგს“.

ბულგარეთის გამოცემის ფურცლებზე დაბეჭდილია ზაურ ბოლქვაძისა და ვანო ცინცაძის იუმორესკები, რევაზ ჯაშისა და იური ყენაშვილის კარიკატურები. შესავალ ინფორმაციაში მოძმე ქვეყნის მკითხველი გაეცნო ქართული ჟურნალის მიკრობიოგრაფიას, რომელსაც მომავალი წლის ივნისში 60 წელი შეუსრულდება.

„ნიანგი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ქართველ, არამედ მოკავშირე რესპუბლიკის მკითხველებს შორისაც. ბოლო დროს, ქართული ჟურნალი არაერთხელ ყოფილა თავის თანამოძმეთა სტუმარი, რომლებიც გამოდის სსრ კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე. კერძოდ, თავისი ფურცლები დაუთმეს მას ბაშკირეთის ჟურნალმა „ხენეკმა“, სომხურმა „ვოზნიმ“, „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ“, რომელიც მსოფლიოს ხუთ ენაზე გამოდის.

საბჭოთა მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა უფრო ხშირად გაეცნოს ქართველი მწერლების — იუმორისტებისა და მხატვრების ნაწარმოებებს. მაგალითად, გამომცემლობა „მოსკოვსკი რაბოჩიი“ გამოუშვეს კრებული „დედაქალაქის ღიმილი“, რომელიც ჟურნალ „კროკოდილის“ მე-60 წლისთავს მიეძღვნა. ას ავტორს შორის კრებულში დაბეჭდილია ლენინური პრემიის ლაურეატის ნოდარ დუმბაძის „გლადიატორი“ და ავთანდილ ადეიშვილის იუმორესკა „დირექტორს არ სცალია“, რომლებშიც მკითხველი ხუმრობითაც და სერიოზულადაც მიიღებს პასუხს დღევანდელობის ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე.

(საქინფორმი).

---

11 აგვისტო

საერთაშორისო
# დედამიწის ზურგზე
ცხოვრება

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესა ადასტურებს

პეკინის ექსპანსიონისტური ზრახვები

დელი. პეკინი ხელს არ იღებს ექსპანსიონისტურ ზრახვებზე პაკისტანის მიერ ოკუპირებული ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის ნაწილის მიმართ. როგორც გაზეთი „ტრიბუნი“ იუწყება, ჩინელებმა თავიანთი სამხედრო ბანაკებით დაქსელეს ამ ტერიტორიაზე მდებარე ხუნზის მთის რაიონი. გაზეთი წერს, რომ ამას წინათ იქ გაჩნდა პლაკატები, რომლებშიც ჩინეთი ამკარა პრეტენზიებს აცხადებდა პაკისტანის მიერ ოკუპირებული ინდოეთის მიწა-წყლისადმი. ამასთან დაკავშირებით „ტრიბუნი“ გამოთქვამს აზრს, რომ აქ ჩინეთის სამხედრო ყოფნის ზრდის ძირითადი მიზანია ხუნძისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების თანდათანობითი ანექსია.

ინდოეთის პრესა ყურადღებას მიაპყრობს, რომ პეკინი მრავალი წლის მანძილზე თანდათან ფეხს იკიდებს პაკისტანის მიერ ოკუპირებულ ჯამუსა და ქაშმირის ნაწილში. ჯერ კიდევ 1963 წელს ისლამაბადთან დადებული შეთანხმებით ჩინეთმა მიიღო 5 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია. ჩინეთის ჯარის ნაწილები მთლიანად კონტროლს უწევენ ჩინელების დახმარებით გაყვანილ ყარაყუმის მაღალი მთის სტრატეგიულ გზატკეცილს. ამ მაგისტრალით, როგორც ვიცით, გადააქვთ ჩინური იარაღის პარტიები, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც პაკისტანის არმიის, ისე პაკისტანის ტერიტორიაზე მოკალათებული ავღანეთის კონტრრევოლუციონერთა ბანდების აღჭურვისათვის.

გზატკეცილის გაყოლებაზე ჩინეთმა განალაგა ტყვია-წამლის და საწვავის საწყობები, სარაკეტო დანადგარები. პაკისტანის მიერ ოკუპირებულ ინდოეთის მიწა-წყალზე ჩინელ სპეციალისტთა მონაწილეობით მიმდინარეობს დიდი სამხედრო ობიექტების, მათ შორის სამხედრო-საჰაერო ბაზების აქტიური მშენებლობა.

პეკინის მოქმედება ინდოეთში მიაჩნიათ იმის თვალსაჩინო დადასტურებად, რომ მას განზრახული აქვს ამ რაიონში შექმნას გამაგრებული პლაცდარმი მეზობელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევის გასაძლიერებლად. ჩინელ ექსპანსიონისტებს აგრეთვე იმის იმედი აქვთ, რომ ინდოეთის საზღვრების მახლობლად ამგვარი პლაცდარმის არსებობა, ტიბეტში ჩინეთის შეიარაღებული ძალების მასირებულ ზრდასთან ერთად, საშუალებას მისცემს მათ უფრო მეტი ზემოქმედება მოახდინონ ინდოეთის მთავრობაზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

● ქაბული

ავღანეთის მომთაბარე ტომების უხუცესებმა და ბელადებმა კრება მოაწყვეს ქაბულში.

თავის გამოსვლაში რელიგიურმა მოღვაწემ აშეგულამ ულემებისა და სამღვდელოების უმაღლესი საბჭოს სახელით დაგმო ძირგამომთხრელი აქციები, რომლებსაც ქვეყანაში კონტრრევოლუციური ელემენტები ახორციელებენ. მან მოუწოდა ავღანელ მუსლიმანებს შეასრულონ თავისი ვალი — ხელი შეუწყონ მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას მთელ ავღანეთში.

● კარაკასი

ვენესუელის პროგრესულმა საზოგადოებრიობამ აღშფოთებით აღიქვა ცნობა იმის შესახებ, რომ საპატიმროდან გაიქცა ორი საერთაშორისო ტერორისტი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით იმაში, რომ 1976 წლის ოქტომბერში ბარბადოსის კუნძულის მახლობლად დაიღუპა კუბის სამგზავრო თვითმფრინავი 73 მგზავრითურთ.

ეს „გაქცევა“, განაცხადა ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, მოაწყვეს იმათ, ვინც მოაწყო დივერსია კუბის ავიალაინერის წინააღმდეგ, — ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და მისმა აგენტურამ ლათინურ ამერიკაში. კომპარტიამ მოითხოვა, რომ მთავრობამ მოაწყოს მომხდარი ამბის საგულდაგულო გამოძიება.

მოკლედ

● დელი

მავრიკიის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აღადგინოს თავისი ეროვნული სუვერენიტეტი დიეგო-გარსიას კუნძულზე, რომელიც ინგლისმა წაართვა და გადაიქცა ამერიკის შეერთებული შტატების დიდ სამხედრო საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზად. ეს განუცხადა ინდოეთის გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის“ კორესპონდენტს მავრიკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-კლოდდე ლესტრაკმა. ქვეყნის მთავრობამ, თქვა მან, მოითხოვა, რომ ინგლისმა დააბრუნოს დიეგო-გარსიას კუნძული და კვლავ იბრძოლებს ამისათვის საერთაშორისო ფორუმებზე.

ფოტოფაქტი



ისრაელის მმართველი წრეები და სიონისტური პროპაგანდა ცდილობენ დაარწმუნონ მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომ ისრაელის ავიაცია, არტილერია და სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები ლიბანში, კერძოდ, დასავლეთ ბეირუთში დარტყმებს მხოლოდ სამხედრო ობიექტებს აყენებენ, რისთვისაც ჩვეულებრივ იარაღსა და ტყვია-წამალს იყენებენ. მაგრამ ფაქტები ამხილებს აგრესორებსა და მათ ამერიკელ მფარველებს, რომლებიც თელ-ავივს აწვდიან მომაკვდინებელ იარაღს.

სურათზე: ახაფეთქებელი მოწყობილობა რომელიც დამონტაჟებულია ამერიკული წარმოების რაკეტაზე, ისრაელის სამხედრო ხომალდიდან ფაქხანის რაიონს რომ ესროლეს.

საკდესის ფოტო.

წესი, რიგი და ჩვენ

ავტომობილი, პრობლემები

ტექნიკურად გამართული ტრანსპორტი მოძრაობის უშიშროების გარანტიაა

„ადამიანი" — ავტომობილი — გზა — გარემო" — როგორც ცნობილია, ამ ფორმულაში თავმოყრილია მოძრაობის უსაფრთხოების ყველა განმსაზღვრელი კომპონენტი. ამიტომაც, ავტომობილიზაციის ნებისმიერ პრობლემაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ამ „ტრადიციულ ოთხკუთხედს". ამჯერად ამ წერილში ძირითადი ყურადღება ავტომობილზე გვინდა გავამახვილოთ. უნდა ითქვას, რომ საერთოდ რესპუბლიკაში ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს: წლეულს ექვსი თვის განმავლობაში ტექნიკური დათვალიერება გაიარა 120 ათასზე მეტმა საუწყებო ავტომანქანამ, რომელთაგან ტექნიკურად გამართული იყო 99 500-მდე ავტომობილი. შემოწმებულ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტმა 0,82 შეადგინა, რაც აღემატება საკავშირო საშუალო მაჩვენებელს. აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით სასურველი იქნებოდა, ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდნენ ამ საქმეს.

რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლები სისტემატურად აწყობენ ავტომეურნეობაში ხაზზე გასვლის წინ ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას. წლეულს მარტში შეამოწმეს ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს გორის გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს აგარის ავტოკოლონა. ხაზზე გასვლის წინ შემოწმებული 25 ავტომობილიდან 11 ანუ 44 პროცენტი აღმოჩნდა ტექნიკურად გაუმართავი, ავტოკოლონაში არ არის ტექნიკური მომსახურეობის გრაფიკი და საერთოდ არავითარი პირობა ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

წლეულს აპრილში შეამოწმეს ცეკავშირის გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ყვარლის ავტოკოლონა (დირექტორი — თ. კანიაშვილი, ყვარლის კოლონის უფროსი — ზ. ჯორბენაძე). ხაზზე გასვლის წინ შემოწმებული 13 ავტომანქანიდან 9 აღმოჩნდა ტექნიკურად გაუმართავი. ანალოგიური მდგომარეობა გამოვლინდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მეფრინველეობის ფაბრიკის (დირექტორი — გ. კორკოტაძე) ავტოპარკში, აქ ხაზზე გასვლის წინ შემოწმებული 4 ავტომანქანიდან 3 ტექნიკურად გაუმართავი აღმოჩნდა. საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ცაგერის კომუნალური მეურნეობის კომბინატის (დირექტორი — ა. ხუცურიანი) შემოწმებამ გვიჩვენა, რომ კომბინატის მესვეურნი ვერ უვლიან მათს ბალანსზე რიცხულ 7 ავტომანქანას. ასევე საინტერესოა, რით უნდა იმართლონ თავი თბილისის ტროლეიბუსების № 2 დეპოს და ტრამვაის № 1 დეპოს ხელმძღვანელებმა, როცა ხაზზე გასვლის წინ შემოწმებული 40 ტროლეიბუსიდან ნახევარი ტექნიკურად გაუმართავი გამოვლინდა, ხოლო 25 ტრამვაიდან მხოლოდ 10 იყო საექსპლოატაციოდ ვარგისი. ეს ფაქტები საპასუხისმგებლო საქმისადმი დაუდევარი, უსულგულო დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია.

რაც შეეხება კერძო ავტომანქანებს, აქ კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა. ზოგიერთი თავს არ იწუხებს ავტომანქანა სახელმწიფო ავტოინსპექციაში გაატაროს ყველასათვის სავალდებულო ტექნიკურ შემოწმებაზეც კი. ტრისტან ჯაშიაშვილს კუთვნილი „ჟიგული" 1980 წლიდან ტექნიკურ დათვალიერებაზე არ გაუტარებია, ტრისტანი მეცნიერი მუშაკია, მუშაობს თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში", მაგრამ სავალდებულო მოთხოვნას არ ემორჩილება. ასევე გენრიხ ოსიპოვსაც თავისი კუთვნილი „მოსკვიჩი" 1980 წლიდან დღემდე ტექნიკურ დათვალიერებაზე არ გაუტარებია. იგი თბილისის საკავშირო სახელმწიფო საინსტრუმენტო ქარხანაში მუშაობს. ძნელია შესაფერისი განსაზღვრება მოუძებნო ასეთ საქციელს. სახავტოინსპექცია იძულებულია წელს განახორციელოს მკაცრი ღონისძიებანი ასეთ დაუდევარ მძღოლთა მიმართ.

ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანის ექსპლოატაციის მიზეზით 1982 წლის 6 თვეში რესპუბლიკაში მოხდა 121 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 31 და მძიმედ დაშავდა 80 ადამიანი. ეს ნათლად მეტყველებს ტექნიკური დათვალიერების აუცილებლობაზე. ერთ გარემოებაზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ: ხშირად გვინახავს ავტომანქანები ათასგვარი უცხოური იარლიყ-ეტიკეტებით, ფერადი ზიზილ-პიპილებით, ავგაროზებით, ფარდებით, ზოგ შემთხვევაში უხამსი ფოტოსურათებით აჭრელებული. ჩვენ აქ არ ვიკამათებთ მათი მდაბიური გემოვნების შესახებ, ეს საქმის ერთი მხარეა, ძირითადი კი ის გახლავთ, რომ ეს ყოვლად უსარგებლო ნაყარ-ნუყარი გარკვეულ წილად მძღოლს უფანტავს ყურადღებას. მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს ეს საგზაო მოძრაობაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ავტოინსპექციის მიერ მკაცრად დაისჯებიან ისეთი მძღოლები, რომლებიც საგოზავწასმული, ჭუჭყიანი, სხვადასხვა უსტანდარტო მაშუქი ფარებით აღჭურვილი ავტომანქანებით მოძრაობენ.

ავტომანქანაში არსებული მთელი რიგი უწესრიგობანი იწვევენ ხმაურისა და გამონაბოლქვის ზრდას. გარემოს გაჭუჭყიანებისა და ხმაურის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში საერთო-სახალხო სახელმწიფოებრივი საქმეა.

დღეისათვის მსოფლიოს გზებზე 350 მილიონზე მეტი ავტომობილი დადის, რომლებიც ყოველ 100 კილომეტრ გარბენაზე ხარჯავენ 4 მილიარდ ლიტრამდე საწვავს, ერთი ლიტრი საწვავის დაწვისათვის კი იხარჯება დაახლოებით 2,5-ჯერ მეტი ჟანგბადი, ვიდრე ადამიანი ჩაისუნთქავს დღეღამის განმავლობაში. ამასთანავე, ავტომობილი ატმოსფეროში გამობოლქავს ნახშირჟანგის გაზს და სხვა მომწამვლელ ნივთიერებათა ექვივალენტურ რაოდენობას და დაახლოებით 10 კილოგრამ რეზინის მტვერს წელიწადში. გარდა ამისა, ძრავების გამუდმებული ხმაური მავნედ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, აღნიშნული მონაცემები გაანგარიშებულია ტექნიკურად გამართული ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის დროს. ბუნებრივია, გაცილებით დიდი მავნებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტის ექსპლოატაცია.

რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ შარშან ამ თვალსაზრისით შემოწმებულ იქნა ქალაქების თბილისის, ქუთაისის და რუსთავის მსხვილი ავტოსატრანსპორტო საწარმოები. აღნიშნული ქალაქების 119 ავტოსატრანსპორტო საწარმოს 27800-მდე ავტომანქანა ჰყავს, რომელთაგან გაზრდილი ტოქსიკურობა აღმოაჩნდა 1950-მდე ავტომობილს.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა თბილისში. მთელი ტრანსპორტი, იგი კი 100.000-ზე მეტ ერთეულს ითვლის, თავმოყრილია რამდენიმე ცენტრალურ მაგისტრალზე, გაძნელებულია ცალმხრივ მოძრაობიანი ქუჩების მოწყობა; ამასთანავე ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია თბილისის შემოსასვლელი გზა სატრანზიტო ტრანსპორტისათვის. როგორც მშენებლები გვპირდებიან, იგი 1985 წლიდან ამოქმედდება. შემოწმებამ ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ბევრი ავტოტრანსპორტელი არ ითვალისწინებს აღნიშნულ გარემოებას. 1981 წელს გაზრდილი გამონაბოლქვის მქონე ავტომანქანის ექსპლოატაციის ფაქტები იყო № 1, 4, 7 და 8 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, № 1 და 7 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, № 2666 და 2672 ავტოკოლონებში, კავშირგაბმულობის სამინისტროს და ამიერკავკასიის „ტრანსმშენის" ტრესტის ავტობაზებში; თბილისის ლენინის, კალინინის და 26 კომისრის სახელობის რაიონების სპეციალურ ავტომეურნეობებში, „ტრანსმშენის" ტრესტის № 1 და 2 ავტობაზებში.

სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს თანამშრომლებმა მაისში შეამოწმეს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოკოლონა № 2651 (დირექტორი — ა. ედიბერიძე, მთავარი ინჟინერი — გ. ჩოგოვაძე); შერჩევით შემოწმდა ათი ავტომანქანა, აქედან გაზრდილი გამონაბოლქვი და ტოქსიკურობა აღმოაჩნდა ოთხ ავტომობილს. ეს ავტოკოლონა ჩვენ ადრეც რამდენჯერმე შევამოწმეთ, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ გამოსწორებულა, მიუხედავად იმისა, რომ მათ საამისოდ საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა აქვთ.

ბუნებრივია, ამ მხრივ ვითარება გაცილებით რთულია ინდივიდუალურ ტრანსპორტზე. მათ აკლიათ ყოველდღიური კონტროლი. ამიტომაც მძღოლთა ერთი და საკმაოდ დიდი ნაწილი, მე ვიტყოდი, დანაშაულებრივად სარგებლობს უკონტროლობით. ზოგიერთი თავისი უცნაური პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ავტომანქანის მაყუჩებში აყენებს თვითნაკეთ მოწყობილობებს, რომელიც გაცილებით ზრდის ხმაურს, დგამს არასტანდარტულ უცხოური წარმოებისა თუ თვითნაკეთ ხმოვან სიგნალებს. დაგვეთანხმებით, ასეთი მძღოლი არც იმით შეიწუხებს თავს, თუ რამდენად მომწამვლელია მისი ავტომანქანიდან გამონაბოლქვი გაზები. მისი ავტომობილი უსწრებს ამ კვამლს, სხვა კი რა ენაღვლება.

შარშან რესპუბლიკაში გამოავლინეს გაზრდილი ტოქსიკურობის მქონე 5400-მდე ავტომობილი. სახელმწიფო ავტოინსპექციამ აკრძალა მათი ექსპლოატაცია ტექნიკურ გამართვამდე.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია ავტომანქანების უკანონო, შინაურული წესით გადაკეთების ფაქტები. გადაკეთების დროს შეიმჩნევა ერთი გარკვეული ტენდენცია: სპეციალური დანიშნულების ავტომანქანებს თვითნებურად აკეთებენ სატვირთო ბორტებიანად. 1981 წელს რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლების მიერ გამოვლენილია უნებართვოდ „რეკონსტრუირებული" მრავალი ასეთი ავტომანქანა. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ტრანსმშენის" ტრესტის მარნეულის № 14 ავტობაზაში უნებართვოდ გადააკეთეს „ზილ-131" მარკის მილმზიდი და ერთი სპეციალური დანიშნულების „გაზ-51" მარკის ავტომანქანები. „საქნავთობგეოფიზიკის" ტრესტის კუთვნილი „გაზ-66" მარკის სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა უნებართვოდ გადააკეთეს სატვირთო ბორტებიანად. მძღოლი ისა იუსუპოვი წლეულს სწორედ იმ დროს დააკავეს, როცა აღნიშნული ავტომანქანით ძროხები და ცხვრები მოიპარა.

განსაკუთრებით ხშირად ირღვევა ავტომანქანის ძარის სტანდარტული გაბარიტები. როგორც ფაქტები მოწმობს, უმეტესად ავტომანქანების ყოველგვარი თვითნებური გადაკეთება თვით მძღოლებს სჭირდებათ პირადი გამორჩენის მიზნით. ამის მაგალითებიც, სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელი როდია. აგრეთვე ხშირია ფაქტები, როცა ღამით და არასამუშაო საათებში სახელმწიფო ავტომანქანები მძღოლის სახლთან დგას და პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ. წლეულს პირველ კვარტალში ავტოინსპექციამ აღრიცხა 435 ავტომობილი, რომლებიც ღამის საათებში მძღოლების სახლებთან იდგა; მათ შორის 9 ავტომანქანა განმეორებით იქნა დაკავებული.

ზოგიერთი ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკების მხრივ ავტოტრანსპორტის მოვლის, შენახვისა და ექსპლოატაციის წესების მოთხოვნათა დარღვევისადმი წაყრუების შედეგია, რომ ამ ბოლო დროს კვლავ გახშირდა პირადი გამორჩენის მიზნით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის გამოყენების შემთხვევები. კვლავ არის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის ცდები.

სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებმა მლეთის საგუშაგოზე დააკავეს გორის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს (უფროსი — დ. ფანიაშვილი, მთავარი ინჟინერი — მ. სააკაშვილი) ავტომობილი „გაზ-500", რომლის მძღოლი მალხაზ ალხაზოვი ცდილობდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანა 4 ტონაზე მეტი ვაშლი.

ასევე ვაშლის გატანას ცდილობდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს აგარის ავტოკოლონის მძღოლი ბიჭიკო მაისურაძე. ამ საწარმოს „კამაზ-5320" მარკის ავტომანქანით (ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელია ნ. ჩრქეზიშვილი, აგარის ავტოკოლონის უფროსი — ჯ. ჩუტკერაშვილი). აღნიშნული ავტომანქანა დააკავეს ავტოინსპექციის მლეთის საგუშაგოზე. აღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საწარმოში ჩვენ ხშირადაც გვქონდა საუბარი; აქ სათანადო დონეზე არ დგას შრომის დისციპლინა, მძღოლებთან არ ტარდება აღმზრდელობითი მუშაობა. როგორც ჩანს, არის დანაშაულის მიჩქმალვის, წაყრუებისა და და მამებლობის ფაქტები. ამის საილუსტრაციოდ ვიტყვით, რომ ავტომანქანა „კამაზ-5320"-ის მძღოლს ბიჭიკო მაისურაძეს, რომელმაც უნებართვოდ გამოიყვანა ავტომობილი ფარეხიდან და ავტოინსპექციის მლეთის საგუშაგოზე დააკავეს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ვაშლის გატანის მცდელობისათვის, ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელებმა სასტიკი საყვედური გამოუცხადეს უკანასკნელი გაფრთხილებით?!

საუწყებო ავტოტრანსპორტზე სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება სადღეისოდ სახალხო მეურნეობაში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომლის წარმატებით გადაჭრაში, რასაკვირველია, ავტოინსპექციასთან ერთად უპირველესი როლი ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებს აკისრიათ.

საქმიანობის ამ ფრონტზე ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით პარტიის რაიკომების, აღმასკომების, შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკების პრაქტიკულ მხარდაჭერას. ჩვენ მიერ შეტყობინებული დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დარჩენილა მათი სათანადო რეაგირების გარეშე და ყოველთვის გამოძებნილა შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების გზები. მაგრამ, გვფიქრობთ, და ამას დღევანდელი სინამდვილეც გვკარნახობს, საჭიროა კიდევ უფრო გააქტიურდეს, პრინციპული და ქმედითი გახდეს ამ მხრივ გამიზნული საქმიანობა. ასეთი ერთობლივი ურთიერთშეთანხმებული მუშაობა კი არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა საბოლოოდ აღმოფხვრის რეალური გარანტიაა.

ლ. გორგოძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაში

დაითხოვეს პროტექციონიზმისათვის

თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწემ ო. მაჭარაძემ ისარგებლა სამსახურებრივი მდგომარეობით და პროტექცია გაუწია თავის ნაცნობს — დაუმსახურებლად დაანიშვნინა იგი თვითმომსახურების უნივერსალური მაღაზიის სექციის გამგედ.

რაიპროკურატურის პირველადმა პარტორგანიზაციამ ო. მაჭარაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

მაგრამ საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ასეთი საქციელი ჩირქს სცხებს პროკურატურის მუშაკის წოდებას და მიიღო გადაწყვეტილება — დაითხოვოს ო. მაჭარაძე პროკურატურის ორგანოებიდან.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს, ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორს მიეთითათ, რომ უნდა აამაღლონ კადრების იდეურ-პოლიტიკური დონე; მთლიანად აღმოფხვრან პროტექციონიზმის ფაქტები საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკთა შორის.

აღორძინებული სილამაზე

მრავალი სახახელო საქმეა იმ სტუდენტური გაერთიანების ენთუზიასტთა ანგარიშზე, რომელიც შეიქმნა კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმთან. გაერთიანებაში შედის რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებელი.

საზოგადოებრივ საწყისებზე სტუდენტები, აგრეთვე თბილისის საწარმოთა ახალგაზრდა მუშაკები, საქართველოს სოფლების ენთუზიასტები მონაწილეობენ რესტავრაცია-აღდგენის სამუშაოებში.



სურათებზე: საქართველოს ხაშენ მახალათა მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ოთარ კვიცარიძე და ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ახალგაზრდული გაერთიანების წევრები უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები მარინე ჯავახიშვილი და მარინე ვაშაკიძე არჩევენ კერამიკულ ფილებს სარესტავრაციო სამუშაოებისათვის; წმინდა გიორგის ეკლესია თეთრი წყაროს რაიონში, სადაც თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ახლა სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებენ.

ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კურორტი და დამსვენებელი

გამოვიყენოთ „ვაჟას წყარო"

„...ჩვენს წამლად „აღმოვაჩინეთ" დიდი ქართველი მგოსნის სახელობის წყარო, უფრო სწორად „ვაჟას წყალი", სადაც თითოორი კურსის მიღება მოვახერხეთ და შემდეგ კი იქაურობას აღარ გაგვაკარეს: გვითხრეს — კეთილმოწყობილი საბაზანოები არა გვაქვს, ექიმი არა გვყავს და თქვენისთანა ავადმყოფებს ვერ მივიღებთო.

პატივცემულო რედაქციავ, გთხოვთ დაგვეხმაროთ, რათა საშუალება გვქონდეს „ვაჟას წყალზე" მკურნალობისა.

ამ თხოვნას ხელს ვაწერთ ახმეტის რაიონის ქვემოალვანელები".

ცხადია, მშრომელთა ამგვარ წერილს რედაქცია გულგრილად ვერ მოეკიდებოდა. ამიტომ დუშეთის რაიონში ავედით, ვესაუბრეთ იქაურ თავკაცებს. სოფელ ჩარგლის ბოლოზე ვნახეთ „ვაჟას წყარო". ნათელი გახდა, რომ თავისებურად „ორივენი" მართლები არიან. „ვაჟას წყაროზე" სრულიად არ არის ავადმყოფთა მიღებისა და მკურნალობის პირობები. ცხადია, რაიონის ხელმძღვანელობა თავს იკავებს, უფრო მეტიც, წინააღმდეგია ავადმყოფების თვითნებურად მკურნალობისა, მაგრამ ისიც უნდა ვიკითხოთ, რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომელთა ჯანმრთელობასაც უთუოდ უხდება ეს წყარო?

რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ 1969 წელს ჩარგლის ჭალაში პრიმიტიული საბანაო ააშენა, მაგრამ რადგან ექიმის შტატი არავინ დაუშვა, აქაურობა ყოველგვარი სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე დარჩა, ავადმყოფები აბაზანების მიღების შემდეგ თვითნაკეთ ქოხებში ისვენებდნენ, რაც ცხადია, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

დუშეთის რაიონის სამედიცინო სამსახურმა აკრძალა „ვაჟას წყალზე" თვითნებური მკურნალობა, მაგრამ ეს ერთადერთ, სწორ გადაწყვეტილებად როდი უნდა მივიჩნიოთ!

„ვაჟას წყარო" იშვიათი სამკურნალო თვისებებით რომ ხასიათდება, ეს კარგად იციან პარტიის დუშეთის რაიკომში. ამის თაობაზე რაიკომმა ბევრჯერ შეახსენა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და სხვა ორგანოებსაც. ამის შედეგი იყო, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაავალა შეესწავლოს „ვაჟას წყლის" სამკურნალო თვისებები და წარმოადგინოს წინადადება ამ წყლის ბაზაზე პანსიონატის მოწყობის შესახებ.

დადგინდა, რომ „ვაჟას წყარო" მიეკუთვნება ჯავისა და ესენტუკის ტიპის მინერალურ სამკურნალო წყაროებს. საფუძველი ეყრება კარგ საქმეს, დღის წესრიგში დგას ამ წყლის ბაზაზე სამკურნალო პანსიონატის აშენება, სადაც ყოველგვარი პირობები შეიქმნება მკურნალობისათვის.

რა თქმა უნდა, რაც უფრო მალე მოგვარდება ეს საქმე, მით უფრო უკეთესი იქნება ყველასათვის და თქვენთვისაც, ძვირფასო ქვემო ალვანელებო.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ტელეეკრანთან

მეტალურგები

ოთხ საღამოს უჩვენებდა საქართველოს ტელევიზია რუსთავის აგლომერაციის ახალი გიგანტის მშენებლობის ქრონიკებს. ასიათასობით ტელემაყურებელი გახდა ამ გრანდიოზული მშენებლობის უშუალო მონაწილე.

გადაცემა თავიდანვე ერთგვარი საგანგაშო მოტივით დაიწყო — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მამუკა მინდელის სელექტორულ თათბირზე ყველა საამქროდან გაისმოდა — გვჭირდება აგლომერატი! დიახ, თუჯსა და ფოლადს სჭირდება აგლომერატი.

რესპუბლიკას სჭირდებოდა აგლომერატი, სჭირდებოდა ახალი ქარხანა, ახალი გიგანტი, საჭირო იყო ას მილიონობით მანეთი, ათასობით ტონა რკინა, უნიკალური დანადგარები, ათასობით ტონა უმაღლესი ხარისხის ბეტონი, უამრავი ტექნიკა, ხის მასალა, მძლავრი მექანიზმები.

პირველად აგლომერატის სახელი მოსკოვში, კრემლში წარმოითქვა.

პირადად ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოაწერა ხელი რუსთავში აგლომერატის ქარხნის მშენებლობის გადაწყვეტილებას.

ასე დაიბადა აგლომერატი, რომლის გიგანტის მშენებლობა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია.

გადაცემის წამყვანი აცნობდა ტელემაყურებელს, რომ რუსთავის აგლომერატის ქარხნის მშენებლობის დამთავრების ვადა 1982 წლის 7 ნოემბერია. მშენებლებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ საოქტომბრო ზეიმისათვის ახალი საწარმო ყველაზე საუკეთესო ნობათია. მშენებლობის ყველა კვანძი რთულ ინჟინრულ ამოცანას აყენებს. საჭიროა მაღალი პროფესიონალიზმი, მტკიცე დისციპლინა, საფუძვლიანი ტექნიკური ცოდნა. აგლომერაცია რთული ტექნოლოგიური პროცესია. მშენებლობას რამდენიმე სამონტაჟო სამმართველო ემსახურება. რუსთავის ქარხნის კოლექტივი ყველა ღონეს ხმარობს, რათა ხელი შეუწყოს მშენებლებს მუშაობაში.

ტელეგადაცემათა სერიაში კარგად გამოიკვეთა საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებები: ორგანიზებულობა, დისციპლინა, თავდადებული შრომა, სიძნელეთა დაძლევისადმი დაუოკებელი სწრაფვა, სიმტკიცე, ოსტატობა...

როგორც ოჯახში თავიანთი ადგილი აქვთ მიჩენილი ბაბუასა და შვილიშვილს, ასევეა ქარხანაშიც: ვეტერანი ოსტატი და ახალბედა შეგირდი თანაბარი უფლებითა და მოვალეობით არიან პასუხისმგებელნი თუჯისა და ფოლადის ჩამოსხმისათვის.

ყოველი მათგანი თავის ადგილზე დგას. ამიტომ არის საბჭოთა ადამიანებისათვის ქარხანა — მეორე ოჯახი. ტელემაყურებელი ეკრანზე შეხვდა ღვაწლმოსილ მეტალურგს არჩილ ძამაშვილს, რომელიც თავისუფალ დროს სამშენებლო პოლიგონზე ატარებს, დადის იგი, ზომავს, ამოწმებს, აკვირდება მშენებელთა ნახელავს... ეჩქარება ამაგდარ მეტალურგს. იცის, რომ ყოველი კილოგრამი უხარისხო ფოლადი და თუჯი მეტალურგის ნამუსიან შრომას უნებლიეთ აქარწყლებს.

ტელენარკვევში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დამაჯერებელი ეპიზოდია ჩანახატი არჩილ ძამაშვილის ოჯახზე, რომლის გულისყური მიპყრობილია ამ უმნიშვნელოვანესი მშენებლობისადმი, ეპიზოდში ნათლად არის გამოხატული მუშისა და წარმოების საბჭოური ურთიერთობა, კომუნიზმის მშენებლის მრწამსი — შეგნებულობა, ხალხის ბედისა და ქვეყნის მომავლის გათავისება.

გადაცემის წამყვანი გვაწვდის რამდენიმე საინტერესო ცნობას, რომლებიც ზუსტად მიანიშნებს საბჭოური ცხოვრების ნიშანდობლივ თვისებას, რომ ახალმშენებლობასთან ერთად ადამიანებიც იზრდებიან, ახალი სახელები წარმოჩინდება, მყარი კოლექტივი ყალიბდება, ხასიათი იწრთობა.

მშენებლობის პროცესში მომზადდა 300 სპეციალისტი, შეიქმნა 5 სპეციალიზებული ბრიგადა, 100-ზე მეტი მუშა დაეუფლა 2-3 მომიჯნავე სპეციალობას. ამ პერიოდში 30 ახალი ოჯახი შეიქმნა, სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული ბევრი მუშა რუსთავში დასახლდა, ოჯახებს ორმოცდარვა ბავშვი შეემატა.

ამგვარი უნიკალური საწარმოს მშენებლობა ყველა რგოლის გამართულ და სინქრონულ მუშაობას მოითხოვს — მოგვითხრობენ ტელენარკვევის ავტორები. კომუნისტები თავდადებული შრომისა და ჩინებული დისციპლინის მაგალითს იძლევიან, სიძნელეებს გაბედულად ძლევენ. პარტიული ორგანიზაციის მხარდაჭერით არაერთი რთული ამოცანა გადაწყვიტეს და მოაგვარეს. ტელემაყურებელი მშენებლობის შტაბის სხდომის უშუალო მონაწილე ხდება, ისმენს საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. რ. გიორგაძის საქმიან, კონკრეტულ გამოსვლას. თვით სხდომის განწყობილება საქმიანი, ოპერატიული, კონკრეტულია.

კინოკადრები ერთმანეთს ენაცვლება. ტელემაყურებელი ეცნობა სატელევიზიო რუბრიკის „ჩვენი ლაშქარი" კიდევ ერთ გმირს — ბრიგადირ რომან დოხნაძეს. შრომაში გამოიკვეთა ბრიგადის წევრთა ურთიერთობა, ნდობა, პატივისცემა, თანადგომა...

„ჩვენი მშენებლობა, ჩვენი ქარხანა, ჩვენი ქალაქი", — ეს სიტყვები ტელეეკრანიდან გაისმის რუსულად, უკრაინულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ტაჯიკურად, ოსურად...

ხალხთა მეგობრობის სამჭედლოა მშენებლობა. როგორც ყველგან, აქაც მხარდამხარ შრომობენ ჩვენი ქვეყნის მრავალი ერის წარმომადგენლები. ერთობლივ შრომაში და ცხოვრებაში დუღაბდება ძმობისა და ამხანაგობის საბჭოური თვისებები.

ასეთ ვითარებაში სიძნელეც ადვილად გადასალახავია და ყოველდღიური საზრუნავიც იოლად მოგვარდება.

კარგად ახსოვთ რუსთაველ პირველმოსახლეებს: როდესაც ქალაქს და ქარხანას საძირკველი ეყრებოდა, ღუმელებთან ქართველი მეფოლადეების გვერდით იდგნენ ზაპოროჟიეს, ჩერეპოვეცის, მაკეევკის გამოცდილი მეტალურგები.

ძმობის ქალაქში ძმობის ტრადიცია გრძელდება.

გადაცემის ავტორებმა გვერდი არ აუარეს სიძნელეებს, ხარვეზებს, ნაკლოვანებებს, ამაზე თითქმის ყველა მონაწილე ლაპარაკობდა, მაგრამ ამასთანავე სწორედ იმით გამოვლინდა მშენებელთა ოპტიმიზმი, პარტიული ორგანიზაციის მებრძოლურობა, მუშათა კლასის დარაზმულობა, რომ ისინი ნათლად ხედავენ მიზნებს, რომლებიც უნდა დალაშქრონ, რათა სამშობლოს სიამაყით უპატაკონ: სსრ კავშირის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შევასრულეთ!

გადაცემა მოამზადეს ტელევიზიის პროპაგანდისა და სახალხო მეურნეობის მთავარმა რედაქციებმა. სცენარის ავტორებია ვ. გეგელია და გ. ჭელიძე, რეჟისორი — გ. ტალიკაძე, კინოოპერატორი — ვ. ხუნდაძე, ხმის ოპერატორი ვ. ხარებავა.

საქართველოს ტელევიზია, რომელმაც სპეციალური საკორესპონდენტო პუნქტი შექმნა აგლომერატის ქარხნის მშენებლობაზე, ბევრი საინტერესო ღონისძიება აქვს დასახული. სისტემატურად მოეწყობა ტელერეპორტაჟები მშენებლობიდან, ყოველთვიურად გადაიცემა კონცერტი აგლომერატის ქარხნის მშენებლებისათვის.

ფ. ჭაჭიაშვილი.

წლები და ამაგი

გამაგონე ეგ ხმა ტკბილი

ხომ ბევრი გვყავს ქართული ხალხური სიმღერების მოამაგენი. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხეილ შავიშვილი, გურული სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი, ღვაწლმოსილი ლოტბარი, მახარაძის რაიონის კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლის „შვიდკაცას" შემქმნელი და სახელდიდების გზებით მატარებელი.

სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილი 15 წლისა ჩაირიცხა გურული სიმღერების დიდოსტატის ვარლამ სიმონიშვილის ანსამბლში, შემდეგ კი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის დროს, მიხეილ შავიშვილი აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მღეროდა. იქიდან წავიდა დიდ სამამულო ომში სამშობლოს დასაცავად. შემდეგ სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა თვითმოქმედ ანსამბლებს. მაგრამ მთავარი მაინც „შვიდკაცაა", რომელიც 1959 წელს შექმნა და ახლაც ხელმძღვანელობს, და თუ ანსამბლი წარმატებით გამოდის სხვადასხვა რესპუბლიკურ თუ საკავშირო კონკურსებსა და ოლიმპიადებზე, ამაში, რა თქმა უნდა, მისი ლოტბარის მიხეილ შავიშვილის დიდი წვლილია. აქ ძნელია ჩამოვთვალო ის მიღწევები, ანსამბლმა რომ მოიპოვა ამ ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე. გასტროლები მოსკოვში, ლენინგრადში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, უკრაინაში... საზღვარგარეთ: იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში... რესპუბლიკური თუ საკავშირო ფესტივალების ლაურეატობა და ოქროს მედლები... „შვიდკაცას" მომღერლებმა ა. გოლიაძემ, ლ. ნინიძემ, ბ. ინგოროყვამ, ა. ბაბილოძემ, ტ. სიხარულიძემ, ი. ინწკირველმა, რ. მახარაძემ, ნ. ქარცივაძემ, გ. ცელაძემ და ზ. გაბაიძემ მიხეილ შავიშვილის ხელმძღვანელობით აღაფრთოვანეს უამრავი მაყურებელი, ჭეშმარიტად აგრძნობინეს მათ გურული სიმღერების განუმეორებლობა და სილამაზე.

ამაგდარ ლოტბარს არ უყვარს თავისთავზე ლაპარაკი. გაზეთ „იზვესტიის" 1958 წლის ერთ-ერთ ნომერში კი ვკითხულობთ: „მაყურებელი აღტაცებით შეხვდა სიმღერებს „გაზაფხულს" და „ხასანბეგურას", რომლის სოლისტი იყო მ. შავიშვილი; ხალხური მომღერალი, მასწავლებელი გურიის ცენტრიდან, ქ. მახარაძიდან მ. შავიშვილი ფლობს უიშვიათეს მაღალ ხმას".

მადლიანი გურული სიმღერების შეგროვება-დამუშავების გარდა, მ. შავიშვილი თავის მოვალეობად თვლის მომავალ თაობასაც ჩაუნერგოს სიმღერის სიყვარული. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა, როდესაც 1976 წელს მახარაძეში, ჩვენს რესპუბლიკაში პირველად სწორედ მ. შავიშვილმა ჩამოაყალიბა ბავშვთა ხალხური სიმღერების შემსწავლელი და შემსრულებელი ანსამბლი „კრიმანჭული".

„კრიმანჭულმა" დიდი აღიარება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ნორჩების ანსამბლი მიიწვიეს თბილისში რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის მიერ მოწყობილ ფოლკლორისტთა საჩვენებელ კონცერტზე, საგასტროლოდ იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში და ა. შ. „კრიმანჭულის" სიმღერები ჩაიწერა ცენტრალურმა ტელევიზიამ, ფირმა „მელოდიამ".

60 წლის ღვაწლმოსილი ლოტბარი 40 წელია თავის საყვარელ საქმეს ემსახურება. აღადგინა 7, ხოლო საკუთრივ შექმნა 30-მდე სიმღერა, მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლები ბათუმისა და მახარაძის თეატრებში.

მ. შავიშვილი იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც შეუძლიათ სიამაყით გადახედონ განვლილ გზას, მაგრამ არ დასჯერდნენ მიღწეულს და ისევ საფიქრალ-საზრუნავი ჰქონდეთ, კიდევ რა შემატონ ეროვნულ კულტურას სამერმისოდ.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

● ●

სურათზე: მახარაძის რაიონის კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა", მარჯვნიდან მეორე — მიხეილ შავიშვილი.

ყაბახი

სატურნირო ორბიტა

შაში. მოსკოვში დაიწყო მატჩი ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე. უძლიერესის წოდებისათვის იბრძვიან საბჭოთა მოშაშეები ლევინა და ალტშული. პირველი პარტია ყაიმით დამთავრდა.

ფეხბურთი. მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა" და სოფიის „სლავიას" შორის. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 5:0 (3:0). ბურთები გაიტანეს შავლომ (2) და როდიონოვმა (3).

ტელევიზია

12 აგვისტო

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — მულტფილმები. 10.00 — მოსკოვის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის ბაიანისტთა ორკესტრის კონცერტი. 10.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „აფრენა ნებადართულია". პრემიერა. 11.00 — „დათა თუთაშხია". VI სერია. 12.10 — საწარმოო ტანვარჯიში. 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.30 — ფილმი — ბავშვებს. — „მეეშავეები". VI და VII სერია. 17.25 — რუსული ენა. 17.55 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების დადების წლისთავის გამო. 18.35 — [illegible] ცეკვის ანსამბლის „დუსთის" გამოსვლა. 19.05 — სასოფლო გზების მშენებლობის გამოცდილება. 19.35 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 20.55 — „დათა თუთაშხია". VII სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ი. ფრენკელის საავტორო საღამო. დამთავრების შემდეგ — 23.55 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები ათეიზმის თემაზე. 9.40 — მხატვრული ფილმი „მუსიკალური ამბავი". 11.00 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 11.30 — მულტფილმები. 12.00 — ესპანური ენა. 12.30 — მარითის ასსრ ხელოვნების ოსტატებისა და მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 13.15 — ჩვენი ბაღი. 13.45 — „პრინც ფლორიზელის თავგადასავალი". მხატვრული ფილმი [illegible]. 19.20 — შეხვედრა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ გ. ტოვსტონოგოვთან. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „სერენადა". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „სამი დღე დაფიქრებისათვის". პრემიერა. I და II სერია.

12 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვილშა". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციսკარა": ფილმ-სპექტაკლი „ცხვირა ჯუჯა" და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სინიუშკას ჭა". 17.00 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსის მოგონებები". 17.40 — განცხადებები. 17.45 — ლიტერატურული გადაცემა „მიხეილ სვეტლოვი". 18.30 — „საერთაშორისო დღიური". 19.00 — მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის — „ახალგაზრდების ხელოვნება". 19.25 — ტვირთბრუნვა რომ დაჩქარდეს! (7 აგვისტოს გადაცემის გამეორება). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „მასწავლებელთა ყრილობის შესახვედრად" — „ფუძე ქვეყნისა" — „მასწავლებელთა ოჯახი". 20.55 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია". VII სერია. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის — საკავშირო ტურნირი „ტყავის ბურთის" პრიზზე. 23.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.50 — განცხადებები. 17.55 — ქართული მხატვრული ფილმი „ანარეკლი".

გაზეთ „კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 14 აგვისტოს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 09357 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20